# აჭარა

გამოდის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№115 (24.995) შაბათი, 22 - 24 ოქტომბერი, 2022 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, დასავლეთის მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 13-18, მთაში - 5-10 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 19 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 765 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსანი ნიუსი

„ჯარის ქალაქის“ მშენებლობა რამდენიმე თვეში დასრულდება, 1000-ზე მეტ ჯარისკაცს საცხოვრებელი ბინები გადაეცემა და ეს პროგრამა მომავალშიც გაგრძელდება, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის მინისტრ ჯუანშერ ბურჭულაძესა და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელ პირებთან გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, სადაც ახალი თავდაცვის კოდექსის პროექტი განიხილეს. პროექტში, სხვა პრიორიტეტებთან ერთად, გათვალისწინებულია წვევამდელთა და რეზერვის სისტემების მოდერნიზაციაც.

* * *

რუსეთის ფედერაციის შემდეგ უკრაინა აღმოჩნდა ის ქვეყანა, რომელმაც საქართველოს მოქალაქეებს სანქციები დაუწესა, - ამის შესახებ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბერაიამ უკრაინის მიერ ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული 4 პირის სანქცირებულთა სიაში შეყვანასთან დაკავშირებით განაცხადა. „რა თქმა უნდა, ჩვენ უკრაინას მხარს ვუჭერთ, ყველა თვალსაზრისით ვეხმარებით როგორც პოლიტიკურად, ასევე ჰუმანიტარული კუთხით. ბოლო ნაბიჯი, რაც ვიხილეთ, არის მანიფესტაცია და კულმინაცია საქართველოს წინააღმდეგ მიმართული იმ რიტორიკისა, რასაც ბოლო თვეების განმავლობაში ვისმენდით უკრაინის ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან, რაც ძალიან სამწუხაროა“, - აღნიშნა ბერაიამ.

* * *

ჩვენ სახალხო დამცველობის კანდიდატურას არ ვაყენებთ, მაგრამ გადაწყვეტილება კონსენსუსის წესით უნდა იყოს მიღწეული, - განაცხადა უმრავლესობის დეპუტატმა ირაკლი ქადაგიშვილმა. როგორც მან აღნიშნა, ავტომატურად არ დაეთანხმებიან იმას, რასაც იტყვიან. „უნდა ვიმსჯელოთ და კონსენსუსის გზით ისეთი კანდიდატი ავირჩიოთ, რომელიც სახალხო დამცველის ფუნქციებს ზედმიწევნით შეასრულებს, იქნება დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და პოლიტიკურად არაანგაჟირებული“, - განაცხადა მან.

* * *

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ეხმიანება ერთ-ერთი არხის ეთერში გასულ ინფორმაციას დეკემბერში ბუნებრივი გაზის ტარიფების გაძვირებასთან დაკავშირებით. სემეკის ცნობით, ინფორმაცია, თითქოს „სემეკის ხელმძღვანელი ტარიფის ზრდას არ გამორიცხავს“, არ შეესაბამება სიმართლეს, წარმოადგენს მიზანმიმართულ პროვოკაციას და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობას.

მოამზადა
ია შველიძე

# EBRD-ის მწვანე ქალაქების კონფერენცია – 2022

**ნაირა ფუტკარაძე 27 48 93**

*ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მწვანე ქალაქების ყოველწლიურ კონფერენციაში მონაწილეობს, რომელიც ავსტრიის ქალაქ ვენაში იმართება*

კონფერენციის ფარგლებში, ოფიციალური პირები, ექსპერტები, ასევე ურბანული, ინკლუზიური და კლიმატის სპეციალისტები მსურველებს გამოცდილებას გაუზიარებენ ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გაძლიერებისა და დაფინანსების მიმართულებით.

კონფერენციაზე განიხილება შემდეგი საკითხები: ციფრული ინოვაციები, ციფრული ტექნოლოგიების როლი ყოველდღიურობაში, ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.

ჩატარდება კონკურსი EBRD-ის მწვანე ქალაქების სტარტაპ ინოვაციებში, რომლის ფარგლებშიც დაჯილდოვდებიან ნოვატორები, რომლებმაც უპასუხეს მდგრადი ენერგეტიკის მიმართულებით არსებულ გამოწვევებს.

EBRD-ის მწვანე ქალაქების კონფერენცია - 2022 მწვანე კლიმატის ფონდის მხარდაჭერითა და ვენის მუნიციპალიტეტთან პარტნიორობით იმართება.



აღსანიშნავია, რომ ბათუმის მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმა (GCAP) 2020 წელს დამტკიცდა. პროექტი EBRD-ის გავლით დაფინანსდა შვედეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) მიერ და მიზნად ისახავს ქალაქის ურბანული და გარემოსდაცვითი გამოწვევების იდენტიფიკაციას, პრიორიტეტიზაციას, ხედვის ჩამოყალიბებასა და ღონისძიებების შემუშავებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალაქის მწვანე განვითარებას.

# ბსუ საერთაშორისო კონფერენციას მასპინძლობს

**ნანა აბულაძე 577 20 35 90**

ციფრული ეკონომიკის განვითარების მიმართულებები, დემოგრაფიული და შრომის ეკონომიკის პრობლემები ციფრულ ეკონომიკაში, ფინანსური ეკონომიკა, განათლების ეკონომიკა და მისი ციფრული ტრანსფორმაცია, კოვიდ-19-ის გავლენა ეკონომიკაზე, გლობალური ეკონომიკის თანმდევი პრობლემები, ბიზნესგანვითარების პრობლემები, ტურიზმის ინდუსტრიის გამოწვევები - ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორდღიანი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიმდინარეობს. აღნიშნული კონფერენცია ბსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დაარსებიდან 25 წლის იუბილეს ეძღვნება. მისი თემაა „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“, რომელშიც მოხსენებით 15 ქართველი და 5 უცხოური უნივერსიტეტის 125 მონაწილეა ჩართული.



- კონფერენციაში ჩართულია როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის უნივერსიტეტების პროფესორები, აკადემიკოსები. დღევანდელი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ჩვენი ეკონომიკის ძალიან აქტუალურ საკითხებს ეხება, სწორედ ამ იუბილის ღონისძიებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი რგოლია, - აღნიშნა ბსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ნათია წიკლაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიების ფარგლებში საპატიო დოქტორად აირჩიეს აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე და პროფესორი ეთერ ხარაიშვილი.

## სამი ჯადოსნური სიტყვა...

4

## ზვარე - მომავლის სოფელი

6

## აიკრძალება თუ არა პიტბულის შემოყვანა და გამრავლება საქართველოში?

5


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.




# გაცვლითი ვიზიტით – საფრანგეთში

დარინა ბაბაიძე 27 48 93

***„საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციების ხელშეწყობის ცენტრის“ IBDIPC ორგანიზებით, საერთაშორისო პროექტ „შავი ზღვის გეოგრაფიული აღნიშვნები/ადგილწარმოშობის პროდუქტები“ ფარგლებში, ქართული დელეგაცია საფრანგეთში გაცვლით-სასწავლო ტურში მონაწილეობდა. ტურის მიზანი იყო, საფრანგეთში ადგილწარმოშობის პროდუქტების წარმოების და რეგულირების მიმართულებით არსებული გამოცდილების გაცნობა***

ტურში მონაწილეობდნენ პროექტის პარტნიორი ქვეყნების (თურქეთი, საქართველო, რუმინეთი) წარმომადგენლები. ქართულ მხარეს წარმოადგენდნენ ორგანიზაცია „საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციების ხელშეწყობის ცენტრი“ (IBDIPC), აჭარის ტურიზმის ინდუსტრიის ფედერაცია (TIFA), ღვინის მარანი „მარეთელი მეგობრები“, „გურიის ტურიზმის ასოციაცია“ (TAG) და კომპანია „ჰერმესი“.

გაცვლითი-სასწავლო ტური ორგანიზებული იყო კომპანია Alsace Business Brokers SAS-ის მიერ და მოიცავდა ალზასის მხარეში სხვადასხვა მწარმოებლის, ორგანიზაციის საქმიანობის გაცნობას და ვიზიტს. ტურის მონაწილეები იმყოფებოდნენ ადგილწარმოშობის პროდუქტების და ხარისხის ეროვნულ ინსტიტუტში, სადაც მიიღეს დეტალური ინფორმაცია საფრანგეთში ადგილწარმოშობის პროდუქტების რეგისტრაციის და რეგულირების სპეციფიკის, მწარმოებელთა ასოციაციების და სახელმწიფო სექტორის კოოპერაციის ფორმების, ხარისხის მართვის საკითხების შესახებ, ასევე, ევროპის საბჭოში, შედგა საქმიანი შეხვედრები ევროპარლამენტის რეგიონალური განვითარების განყოფილების და ევროსაბჭოს დემოკრატიის და მმართველობის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, შეხვდნენ ადგილწარმოშობის პროდუქტების მწარმოებლებს, მათ შორის ღვინის, ვისკის, ყველისა და ბოსტნეულის.









ტური ჩატარდა საერთაშორისო პროექტ „შავი ზღვის გეოგრაფიული აღნიშვნების ქსელის“ ფარგლებში. პროექტის პარტნიორები იყვნენ „აღმოსავლეთ შავი ზღვის განვითარების სააგენტოს (DOKA)“ (თურქეთი), ორგანიზაცია „TERNOPOL“ (რუმინეთი) და „საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციების ხელშეწყობის ცენტრი“ - IBDIPC (საქართველო). პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ENI შავი ზღვის აუზის თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში.

გაცვლითი ვიზიტის თაობაზე - კომენტარი ვთხოვეთ აჭარის ტურიზმის ინდუსტრიის ფედერაციის პრეზიდენტ აკაკი ბერიძეს, რომელიც გაცვლითი ვიზიტის ფარგლებში საფრანგეთში იმყოფებოდა.

- მნიშვნელოვანია უცხოეთის მაგალითზე ცოდნის და გამოცდილების მიღება. ჩემი მიზანია, მეწარმეებმა აწარმოონ ხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, რომელსაც ვაქცევთ ტურისტულ პაკეტად და შევთავაზებთ ტურისტებს. ამ თვალსაზრისით საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღეთ ამ ტურის ფარგლებში. თუ აქტივობები გვეხმარება, როგორც ცოდნის და გამოცდილების მიღება-გაღრმავებაში, ასევე ჩვენი უცხოელი პარტნიორების და საკონტაქტო პირების წრის გაფართოებაში, - გვითხრა აკაკი ბერიძემ.

# კულინარიული მოგზაურობა აჭარაში

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

***„კულინარიული მოგზაურობა აჭარაში“ - ასე ჰქვია კულინარიულ გზამკვლევს, რომელშიც 1100-ზე მეტი კერძია შეტანილი, ნათქვამია აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის განცხადებაში***

წიგნის პრეზენტაციას, რომელიც ქობულეთში გაიმართა, ესწრებოდნენ აჭარის მთავრობისა და ტურისტული სექტორის წარმომადგენლები.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ქობულეთური, ლაზური და მთიანი აჭარის კულინარიული სივრცეები, სადაც სტუმრებს ტრადიციული კერძების დაგემოვნების საშუალება ჰქონდათ. გარდა ამისა, სპეციალურად ღონისძიებისთვის მოწვეულმა ცნობილმა შეფმზარეულებმა სტუმრებს აჭარული კერძების თანამედროვე ინტერპრეტაციები შესთავაზეს.

ახალ გზამკვლევში შევიდა ნაკლებად ცნობილი და მივიწყებული კერძების, დესერტებისა და წასახემსებლების რეცეპტები, ფოტოები და სხვადასხვა კულინარიული ტრადიცია. კულინარიული ექსპედიციისას ჩატარებულმა კვლევამ ისეთი კერძებისა და დესერტების გაცოცხლებას შეუწყო ხელი, რომელთა შესახებ ადგილობრივებმაც არ იცოდნენ.

მაგალითად, ახალ გზამკვლევში შევიდა ისეთი კერძები, როგორებიცაა სირვალი, მოთრიელა, ჭინჭრიბუხი, ფესტილშორვა, ქათმის ფიფინა, ყაფლამა და ა.შ. ეს ის კერძებია, რომელთა რეცეპტებსაც დაინტერესებული პირები კულინარიულ გზამკვლევში ნახავენ.



მასში ასევე წარმოდგენილია მთავარი კერძი, დესერტი, საწებლები, მურაბები, მარინადები, რძის ნაწარმი, ღვინის სახეობები და ყურძნის წვენისგან დამზადებული სხვა პროდუქტები.

წიგნზე მუშაობდა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო. როგორც უწყებაში აღნიშნავენ, ახლახან გამოცემული წიგნის მიზანი აჭარული სამზარეულოს პოპულარიზაცია, ასევე, ადგილობრივი რესტორნების მენიუში აჭარული კერძების შეტანაა.

წიგნის ელექტრონული ვერსიის ნახვა მსურველებს სააგენტოს ტურისტულ პორტალზე შეუძლიათ. კულინარიული გზამკვლევის ბეჭდური ვერსია გიდებს, კვების ობიექტებსა და საოჯახო-სასტუმრო სახლების წარმომადგენლებს საჩუქრად გადაეცემათ.

# ახალგაზრდები საკანონმდებლო ორგანოს მუშაობას გაეცნენ

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის ახალგაზრდული რეგიონული ცენტრის წარმომადგენლები, აჭარის საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობას და ფუნქციებს გაეცნენ. მათ უმაღლესი საბჭოს სტრუქტურაზე და ასევე ახლად ამოქმედებულ პორტალზე „chaerte.sca.ge“ ინფორმაცია საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე აროშიძემ გააცნო. დეპუტატმა ახალგაზრდების შეკითხვებს უპასუხა და რეგიონული ცენტრის ახალგაზრდებთან ერთად საკანონმდებლო ორგანოში მყოფ პოლონელ მოსწავლეებს, რომლებიც გაცვლითი პროგრამით ჩამოვიდნენ აჭარაში, უმაღლესი საბჭოს შენობა დაათვალიერებინეს.





# ეროვნული პარკი რაჭაში

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

რაჭაში ახალი დაცულ ტერიტორია ეროვნულ პარკი შეიქმნება, აღნიშნულის შესახებ კანონპროექტი პარლამენტმა 1-ლი მოსმენით მიიღო.

საქართველოში ახალი დაცული ტერიტორიების შექმნის მიზნით, მთავრობის ინიციატივით, ორი კანონპროექტი - „ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ მომზადდა, რომლებზეც პლენარულ სხდომაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნინო თანდილაშვილმა ისაუბრა.

„ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების გაგრძელებაზე იქმნება ახალი დაცული ტერიტორია, რომელიც ჯამში 13 ათას ჰექტარ ფართობს მოიცავს. ეს არის პირველი სახელობითი დაცული ტერიტორია, რომელიც აღიარებული მეცნიერის ნუგზარ ზაზანაშვილის სახელს უკავშირდება. მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარებაში და მისი მონაწილეობით ქვეყნის მასშტაბით არაერთი დაცული ტერიტორია დაარსდა. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორიის შექმნა ქურციკების პოპულარიზაციის აღდგენას შეუწყობს ხელს და დაცული ტერიტორიების რეჟიმს გაავრცელებს იმ ფართობებზე, რომლებიც ბიომრავალფეროვნებით არის გამორჩეული. რაც შეეხება რაჭის დაცული ტერიტორიის შექმნას, ისიც ახალი დაცული ტერიტორია იქნება, რომელიც 50 ათას ჰექტარს მოიცავს. მრავალი წელი მიდიოდა ამ საკითხზე მუშაობა და მნიშვნელოვანია, რომ რაჭაში დღეს ვქმნით ახალ დაცულ ტერიტორიას - ეროვნულ პარკს“, - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

პარლამენტმა „ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონპროექტი 76 ხმით, ხოლო „რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ 85 ხმით, პირველი მოსმენით მიიღო.

# ინწკირვეთსა და ბრილში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივით მოსახლეობასთან დაწყებული შეხვედრები გრძელდება. რეგიონის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე არჩილ ბერიძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, აჭარის მთავრობის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკი თამაზ ნიჟარაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები ამჯერად შუახევის ორ სოფელში მოსახლეობის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

ინწკირვეთში გამართულ შეხვედრაზე ზორბეგ, გენადი ჭაღალიძეებმა სოფლის ხელმძღვანელის დანიშვნა, სასმელი წყლის გამოყვანა, წისქვილის აგება მოითხოვეს.

შუახევის ადმინისტრაციულ ცენტრს 18 კილომეტრითაა მოშორებული სოფელი ბრილი. აქ უხვთოვლიანი და ხანგრძლივი ზამთარი იცის. სულიკო ბერიძემ, შალვა ათაბაგმა ზამთრობით ტრაქტორის სოფელში გაჩერება ითხოვეს. ასევე, დღის წესრიგში დააყენეს ბრილში ცეკვას დასახლებაზე გავლით დენის მკვებავი ახალი ხაზის გამოყვანა.

# „საქართველო რჩება ევროკავშირის ერთ-ერთ საკვანძო და სანდო მოკავშირედ რეგიონში“

*ურთულესი საერთაშორისო გარემოს მიუხედავად, საქართველო წარმატებით ახერხებს საგარეო პოლიტიკურ საფრთხეებთან გამკლავებას, დგამს ქმედით ნაბიჯებს, მკაფიოდ და მიზანმიმართულად აგრძელებს ძირითადი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების განხორციელებას, რაც წარმოადგენს ქართველი ხალხის ისტორიულ და ცივილიზაციურ არჩევანს, - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა პარლამენტში, სადაც მას პლენარულ სხდომაზე „მინისტრის საათის“ ფორმატში მოუსმინეს*



ილია დარჩიაშვილმა გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში გააცნო დეპუტატებს. მისი თქმით, წელს ქართულ დიპლომატიას განსაკუთრებულ ვითარებაში უწევდა მუშაობა. მინისტრმა ისაუბრა ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, დეოკუპაციისა და რუსეთ-საქართველოს შორის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობაზე, რომელიც, როგორც აღნიშნა, პარტნიორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მხარდაჭერით ხორციელდებოდა.

- რუსეთის მხრიდან უკრაინის მიმართ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის პირობებში განსაკუთრებით დამძიმდა რეგიონში უსაფრთხოების გარემო, რაც ქმნის დამატებით გამოწვევებს. ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ ამ ტურბულენტური ვითარების ფონზე რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების აუცილებლობის საკითხის საერთაშორისო დღის წესრიგში აქტუალიზაციისთვის. ხდებოდა ჩვენს ხელთ არსებული ყველა დიპლომატიური თუ სამართლებრივი ინსტრუმენტის გამოყენება საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზების უზრუნველსაყოფად. რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებით საკითხებს ვაყენებდით ყველა შესაბამის ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში და მუდმივად ხდებოდა ჩვენი პარტნიორების ინფორმირება ამის შესახებ. სწორედ ქართული მხარის აქტიური დიპლომატიური ნაბიჯების შედეგად ჩვენი პარტნიორების მხრიდან გვაქვს მკაფიო მხარდაჭერა, რაც აისახება პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საჯარო განცხადებებსა და დოკუმენტებში, - განაცხადა დარჩიაშვილმა.

მინისტრის განცხადებით, რეგიონში შექმნილი მწვავე უსაფრთხოების გარემოს ფონზე მნიშვნელოვანი იყო 56-ე რაუნდის გამართვა თანათავმჯდომარეებსა და მათ ორგანიზაციებთან (ევროკავშირი, გაერო, ეუთო), ასევე, აშშ-თან ქართული მხარის მჭიდრო თანამშრომლობით.



- ჩვენი მიზანია ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ხელშესახები შედეგების მიღწევა და პროცესის გაძლიერება, რაც შექმნის საფუძველს 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების უზრუნველყოფისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების პროცესის დაწყებისთვის. აღნიშნული გულისხმობს რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანას აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონებიდან და ადგილზე უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმების განლაგებას, მათ შორის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შესვლას. გავაგრძელებთ თანათავმჯდომარე ორგანიზაციებთან, ასევე, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობას პროცესის მხარდაჭერისა და ხელშეწყობის მიზნით. პარალელურად, ჩვენ გავაგრძელებთ საქართველოს მიერ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესის, მათ შორის, ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის, თავისუფალი ვაჭრობის, ასოცირების შესახებ შეთანხმების შედეგად მიღებული სიკეთეების, საოკუპაციო ხაზს მიღმა მცხოვრები ადამიანებისთვის გაზიარების და მათთან დიალოგის და მათი ჩართულობის განხორციელებით შერიგებისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობას, - აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

დარჩიაშვილის თქმით, ევროკომისიის 2022 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებამ საქართველოს ევროპული პერსპექტივის აღიარების თაობაზე ფორმალურად გაუხსნა კარი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას და სრულიად ახალ ეტაპზე აიყვანა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები.

- საქართველო გახდა ევროკავშირის გაფართოების პაკეტის ნაწილი, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის პროგრესი 2023 წლიდან შეფასებული იქნება გაწევრიანების ე.წ. „კოპენჰაგენის“ კრიტერიუმების მიხედვით, ასოცირებული ტრიოს დანარჩენი ორი ქვეყნის და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების ანალოგიურად, - აღნიშნა მინისტრმა. მისივე განცხადებით, საქართველომ წარმოადგინა კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რითაც ცალსახად დადასტურდა ურყევი ნება, რომ საქართველო გააგრძელებს აქტიურ მუშაობას ყველა იმ ვალდებულებაზე, რომელიც ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების მიზანს ემსახურება.

მინისტრმა ყურადღება გაამახვილა ევროკავშირთან აქტიურ თანამშრომლობაზე უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო რჩება ევროკავშირის ერთ-ერთ საკვანძო და სანდო მოკავშირედ რეგიონში.

მოხსენების შემდეგ, მინისტრს პარლამენტის წევრებმა კითხვები დაუსვეს.

„ლელოს“ დეპუტატმა დავით უსუფაშვილმა სხდომაზე განაცხადა, რომ საგარეო პოლიტიკაში ერთი შეცდომით შესაძლოა მძიმე შედეგები დადგეს.

- თუ სადმე ქვეყანა უნდა იყოს სტაბილური, სტრატეგიული ინტერესების მიმდევარი, ეს სწორედ საგარეო პოლიტიკაა. თუ სადმე ჩვენ უნდა ვახერხებდეთ ერთიანი ძალისხმევით ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების მიღწევას, ეს საგარეო პოლიტიკაა, - განაცხადა უსუფაშვილმა. მისი თქმით, დღევანდელ საგარეო საქმეთა მინისტრს და მის გუნდს, ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში უწევთ საქმიანობა.

- ისინი იძულებული არიან მსოფლიოს დაუდასტურონ, რომ ჩვენ, პარლამენტში ვერ ვახერხებთ ერთი რეზოლუციის მიღებასაც კი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ორიენტირებზე. მე დარწმუნებული ვარ, იქნება ისეთი პარლამენტი, როდესაც მინისტრი მოვა პარლამენტში და კითხვები არა მხოლოდ ოპოზიციას, არამედ, პირველ რიგში, მმართველ გუნდს ექნება იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს ქვეყანაში ვითარება. ამ ყველაფერს სახელმწიფოებრივი მიდგომა სჭირდება, - აღნიშნა უსუფაშვილმა.

„ლელოს“ კიდევ ერთი დეპუტატის სალომე სამადაშვილის თქმით, ილია დარჩიაშვილი შეეცადა, „ოცნების“ საგარეო პოლიტიკის კრახი წარმატებად წარმოეჩინა. მისი თქმით, როდესაც საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი ვერ მიიღო, სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა, მინისტრს გადადგომის განცხადება დაეწერა.

- კრახია, როდესაც ქვეყნის მიერ ევროკავშირში გაწევრიანების ამოცანა დასრულდება იმით, რომ ქვეყანა დარჩება კანდიდატის სტატუსის გარეშე. კრახია, როდესაც რუსეთის მიერ ომის დანაშაული და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენის შესახებ განცხადება აგრესიულ რიტორიკად მიაჩნია ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომლის ქვეყნის 20% არის რუსეთის მიერ ოკუპირებული. კრახია, როდესაც გგონია, რომ ვინმეს მოატყუებ ამ ტრიბუნიდან, რომ იმ ხელისუფლებას წარმოადგენ, რომელიც უკრაინას მოკავშირედ მიიჩნევს, ამ დროს ზელენსკის სანქციების ქვეშ მოექცა შენი რეალური მმართველი ძალა, - აღნიშნა სამადაშვილმა.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრ პაატა მანჯგალაძის განცხადებით, მისი პარტიის მთავარ ეროვნულ ამოცანას, ეროვნულ მისიას წარმოადგენს, რომ საქართველომ პირველ ეტაპზე მიიღოს კანდიდატის სტატუსი და შემდეგ გახდეს ევროკავშირის წევრი, რადგან ევროკავშირი საქართველოსთვის, საქართველოს მოქალაქისთვის ნიშნავს უსაფრთხოებას, მშვიდობას და კეთილდღეობას ერთად აღებულს.

- სპეკულაცია და დეზინფორმაციაა, როცა ამბობთ, რომ „სტრატეგია აღმაშენებელს“ არ უნდა ევროპაში ინტეგრაცია, - აღნიშნა მან და დასძინა, რომ თუკი უმრავლესობა ისეთ ცვლილებებს შემოიტანს, რომელიც რეკომენდაციების შესრულებას ემსახურება, მისი პოლიტიკური ძალა მზად არის მხარდაჭერისთვის.

- ვისაც არ უნდა დავაბრალოთ, გინდ ოპოზიციას, გინდ დასავლელ პარტნიორებს და ათასი მიზეზი ვეძებოთ, ისტორიის წინაშე იცოდეთ, რომ დღეს რომ არ გვაქვს კანდიდატის სტატუსი, არის თქვენი „დამსახურება“. თუ მომავალშიც ქვეყანა ვერ მიიღებს სტატუსს, იქნება თქვენი „დამსახურება“, რადგან არც ერთ შემთხვევაში ოპოზიციას არ შეუძლია რეალურად ხელი შეუშალოს ამ პროცესს, - მიმართა მანჯგალაძემ უმრავლესობას.

„მოქალაქეების“ დეპუტატი ალეკო ელისაშვილი სხვადასხვა ქვეყანაში დანიშნული საქართველოს ელჩების საქმიანობით დაინტერესდა.

- დიდი კვლევა არ ჩამიტარებია, რამდენიმე ვიზიტით პარლამენტის დელეგაციასთან ერთად ვიყავი და რამდენიმე ელჩს შევხვდი. ზოგიერთით აბსოლუტურად აღტაცებული ვიყავი და ვარ, ზოგიერთ ელჩს კი, ჩემი გადასაწყვეტი რომ ყოფილიყო, ელჩად კი არა, ბატების მწყემსად არ დავნიშნავდი, - განაცხადა ელისაშვილმა.

პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მაკა ბოჭორიშვილმა საგარეო საქმეთა მინისტრს მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისთვის და პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტისა და საგარეო უწყების ერთობლივი მუშაობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

- ევროინტეგრაციის კომიტეტი სამინისტროსთან კოორდინაციით და თანამშრომლობით ვცდილობთ, მაქსიმალურად მივაწვდინოთ ხმა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის დედაქალაქს იმისათვის, რომ საქართველოს ინტერესები და პოზიციები ისმოდეს ევროკავშირში. გავაგრძელებთ ამ მიმართულებით თქვენთან ერთად მუშაობას, ვინაიდან საქართველო იმსახურებს პროგრესს ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით. საქართველო დღესაც იმსახურებს კანდიდატი წევრის სტატუსს და დარწმუნებული ვარ, ამ სტატუსს ძალიან მალე მიიღებს, - აღნიშნა კომიტეტის თავმჯდომარემ.

## უცხოეთი

ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის განცხადებით, ევროკავშირის ლიდერები შეთანხმდნენ, იმუშაონ ზომებზე, რომელიც ენერგორესურსებზე ფასების ზრდას ეწინააღმდეგება. „ენერგორესურსების საკითხზე შეთანხმებას მივაღწიეთ, არსებობს ძლიერი და ერთსულოვანი ვალდებულება ვიმოქმედოთ ერთად, როგორც ევროპელებმა, სამი მიზნის მისაღწევად: დაბალი ფასები, მიწოდების უსაფრთხოება და მოთხოვნის შესამცირებლად მუშაობის გაგრძელება“, - განაცხადა მიშელმა ევროკავშირის ლიდერების შეხვედრის პირველი დღის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი გამოეხმაურა წარმომადგენელთა პალატის რესპუბლიკელი ლიდერის კევინ მაკკარტის განცხადებას, რომ თუ „რესპუბლიკური პარტია“ პალატაში შუალედური არჩევნების შედეგად უმრავლესობას მოიპოვებს, მათ, შესაძლოა, უკრაინას ისეთივე დახმარება არ გაუწიონ, როგორსაც აშშ ახლა უწევს ომში მყოფ ქვეყანას. ბაიდენის თქმით, ისინი კითხვის ქვეშ აყენებენ უკრაინისთვის დახმარების გაგრძელებას და ძირს უთხრიან აშშ-ის ლიდერობას მზარდად არასტაბილურ მსოფლიოში. „მათ თქვეს, რომ თუ გაიმარჯვებენ, სავარაუდოდ არ დაეხმარებიან, არ გააგრძელებენ რუსების წინააღმდეგ უკრაინის ომის დაფინანსებას. ეს ბიჭები ვერ ხვდებიან, რომ ეს უკრაინაზე ბევრად დიდია - ეს არის აღმოსავლეთ ევროპა, ეს არის ნატო. ეს არის რეალური, სერიოზული შედეგები. მათ არ აქვთ ამერიკის საგარეო პოლიტიკის აღქმა“, - აღნიშნა ბაიდენმა.

* * *

თურქეთი აზერბაიჯანში, მთიანი ყარაბაღის ქალაქ შუშაში გენერალურ საკონსულოს გახსნის, - ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა აზერბაიჯანიდან დაბრუნების შემდეგ განაცხადა, სადაც მონაწილეობა მიიღო ზანგელანის აეროპორტის გახსნაში. „ვფიქრობ, რომ ერთი წლის შემდეგ შუშაში ვიზიტები ბევრად გაადვილდება. ილჰამ ალიევმა განაცხადა, რომ მომავალი წლისთვის დიდი თანხები გამოიყო. ჩვენი თურქული კომპანიების წარმომადგენლებიც ამბობენ, რომ თუ გეგმები განხორციელდება, აქ მუშაობა 1-1.5 წელში დასრულდება. რა თქმა უნდა, რკინიგზის გარდა, არის მაგისტრალებიც. როგორც კი დასრულდება ეს სამუშაოები, გაიხსნება გზა შუშასკენ. ეს ადგილები გაცოცხლდება როგორც ადგილობრივით, ასევე უცხოელი ტურისტებით“, - განაცხადა ერდოღანმა.

* * *

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრო ირანის მოქალაქეებს უკრაინის დატოვებისკენ მოუწოდებს, - ამის შესახებ ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული. „უკრაინაში სამხედრო შეტაკებებისა და გაზრდილი არეულობის გამო, ირანის მოქალაქეებს ეძლევათ რეკომენდაცია, არ გაემგზავრონ ამ ქვეყანაში. ამასთან, უკრაინაში მცხოვრებ ყველა ირანელს ვურჩევთ, დატოვონ ქვეყანა საკუთარი სიცოცხლისა და უსაფრთხოების დასაცავად“, - ნათქვამია განცხადებაში. შეგახსენებთ, უკრაინა და მისი ევროპელი და ამერიკელი პარტნიორები ირანს რუსეთისთვის დრონების მიწოდებაში ადანაშაულებენ.

გვერდი მოამზადა
ია შველიძემ

# თენგო დოლიძე: სიახლე ზოგჯერ სირთულეა, ზოგჯერ – მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა

**ფიქრია დავლაძე 579 25 25 72**

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორს ახალი მოადგილე ჰყავს. თენგო დოლიძე 2019 წლიდან აჭარის ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციის სამსახურის უფროსის პოზიციას იკავებდა. მას დამთავრებული აქვს კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი. ასევე, სწავლობდა რიგაში, ტურიბას ბიზნესის უნივერსიტეტში. სხვადასხვა დროს მუშაობდა მარკეტინგისა და გაყიდვების მიმართულებით. არის მოწვეული ლექტორი კოლეჯში „ბლექსი“. **თენგო დოლიძე** „Forbes Georgia“-ს პროექტ „30 under 30“-ის მედია-მარკეტინგის კატეგორიის 2021 წლის გამარჯვებულია.



- კარიერული წინსვლა განვითარებაზე ორიენტირებული ნებისმიერი ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, საკუთარი თავის განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა საუკეთესო გადაწყვეტილებაა, რაც ცხოვრების ბოლომდე უნდა გააგრძელოს ადამიანმა. ჩემთვის სიახლის მიმართ ღიაობა, ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს. სწორედ ამიტომაცაა, რომ ყოველთვის ვეძებ, ვმოძრაობ და არ ვჩერდები. სიახლე ზოგჯერ სირთულეა, ზოგჯერ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა. უკან დახევა, ერთ ადგილზე ყოფნა, შიში - ჩემი არჩევანი არ არის.

**- ახალგაზრდული რეგიონული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი რამდენი ხანი იყავით და რა გამოცდილება მიიღეთ ამ დროის განმავლობაში?**

- სამ წელზე მეტხანს ვიყავი ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ზოგადად, სამსახურის მრავალფეროვანი მიზნებიდან გამომდინარე, არაერთ გამოწვევასთან მქონია შეხება, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ თითქმის ორი წელი პანდემიურ ვითარებაში ცენტრს არ შეუჩერებია მუშაობა და საგანმანათლებლო პროექტებთან ერთად, მნიშვნელოვანი და არაერთი მოხალისეობრივი ღონისძიებაც განახორციელა, რომელმაც საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გუნდის მართვა, რაც ეფექტიანი შედეგის მისაღებად აუცილებელია. ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ადამიანებისგან შემდგარ გუნდს ვმართავდი, რომლის წევრების საერთო ღირებულება საქმისადმი მაღალპროფესიონალური დამოკიდებულება და ხარისხი გახლდათ. სწორედ ერთობლივი მუშაობის დამსახურებაა ცენტრის საერთაშორისო აღიარება, წარმატებით განხორციელებული ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტები, ახალგაზრდების კეთილგანწყობა და სიყვარული...

**- იმ პოზიციაზე სამუშაოდ, სადაც დაინიშნეთ, გაქვთ თუ არა შესაბამისი გამოცდილება?**

- ამ კითხვაზე ასეთი პასუხი მაქვს: ვფიქრობ, იცოდე, რა გინდა საქმისგან, რასაც იწყებ, წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინდარია და მე ეს თითქმის ყოველთვის ვიცი. შეიძლება ზედმეტ თავდაჯერებულობაში ჩამითვალოთ, მაგრამ სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ, სუსტ და არამყარ ადამიანებს არ იბრალებს. ჩემი აზრით, აღნიშნული პოზიციისთვის კარგი კანდიდატი ვარ. სხვადასხვა მიმართულებით მაქვს გამოცდილება და კონტაქტები, რაც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დასახულ სტრატეგიულ ამოცანებს გუნდთან ერთად ვუპასუხო. ვბედავ და ვიღებ პასუხისმგებლობას, შევუერთდე პროფესიონალთა გუნდს, ვიყო ღირსეული წევრი, მათგან ვისწავლო, გავიზიარო გამოცდილება და გაერთიანებული ძალებით შევძლოთ მეტი საგანმანათლებლო, საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტის დაგეგმვა/განხორციელება. მინდა, უპირველეს ყოვლისა, ყველას ესმოდეს, რომ კულტურული მემკვიდრეობა არა მხოლოდ სააგენტოს და აქ მომუშავე ადამიანების, არამედ თითოეული ჩვენი მოქალაქის პასუხისმგებლობაა და ყველა უნდა ზრუნავდეს მის დაცვაზე!

**- რა გეგმები გაქვთ?**

- წინ უამრავი საინტერესო ამბავი გველოდება. მუდმივად სიახლეების ეპიცენტრში ყოფნისთვის გთხოვთ, თვალი ადევნეთ ჩვენს ფეისბუქგვერდს.

**- ვისგან მიიღეთ შეთავაზება?**

- შეთავაზება მივიღე ხელმძღვანელისგან, რომელიც სააგენტოს ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურისა და დასახული მიზნების ეფექტიანი აღსრულებისთვის, მოტივირებულ, ენთუზიაზმით სავსე, დარგობრივი სპეციალისტებით დაკომპლექტებულ და რეგიონზე შეყვარებულ უამრავ ადამიანს აერთიანებს!

**სტუმარი**

# სამი ჯადოსნური სიტყვა...

**ლაშა ხომერიკი 593 50 82 69**

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ფილოლოგმა სოფია მიქავამ ამ ორი ათეული წლის წინ მასწავლებლად რომ დაიწყო მუშაობა, პირველივე დღეებში დარწმუნდა, ეს მისი მოწოდება იყო. ახლა უკვე წარმატებული და გამოცდილი პედაგოგი თავისი კეთილი შრომის ნაყოფს იმკის - იგი გამორჩევით უყვართ სსიპ „ჩირაღდანის“ მოსწავლეებს, რომლებსაც ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. მოსწავლეების ინტერესს აძლიერებს ისიც, რომ მათი საყვარელი მასწავლებელი საინტერესო მოთხრობებსა და ლექსებს აქვეყნებს, რომელთა მკითხველები თავად ეს მოსწავლეები და მათი თანატოლები არიან. ეხმაურებიან კიდეც თავიანთი კომენტარებით. სწორედ ამ ფაქტმა გვიკარნახა, ჩვენი მკითხველისათვის გაგვეცნო* ***სოფია მიქავა.***

**- კარგი ხასიათის ადამიანია, ასე რომ დაახასიათებენ პიროვნებას, თითქოს ყველაფერი ცხადია, და მაინც, რაში მდგომარეობს კარგი ხასიათის საიდუმლო, თქვენ როგორი ხასიათი გაქვთ?**

- ადამიანი კარგი ხასიათის არის, ან არ არის. კარგი ხასიათი გულიდან, გონებიდან, სულიდან უნდა მოდიოდეს. კარგი ხასიათი თავად უნდა გავსებდეს, უნდა გგვრიდეს სიამოვნებას. თუ ადამიანებთან გაქვს კარგი ურთიერთობა, შეგიძლია მათთვის სიხარულის მინიჭება, ეს უკვე კარგი ხასიათის ნიშანია. ვგონებ, კარგი ხასიათი მაქვს. არ მიყვარს საკუთარ თავზე საუბარი, მაგრამ ხშირად უთქვამთ: ძალიან მჭირდება შენთან ურთიერთობა, შენი რჩევაო. მადლობა ღმერთს, არ ვარ ცუდი ხასიათის.

**- როგორია თქვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები, გზა, რომელიც აქამდე გაიარეთ.**

- გზა, რომელიც აქამდე გავიარე, რთული იყო, ტრაგიკული, მაგრამ ამაზე არ ვისაუბრებ, არ მინდა ვინმეს სევდა მოვგვარო. ერთმა უმნიშვნელოვანესმა დღემ - 2004 წლის 8 აპრილმა სიცოცხლე გამიხალისა - ჩემი შვილი მოევლინა ამ ქვეყანას, ყველა ტკივილი გადაფარა და დღემდე თავისი არსებობით მავსებს.

**- რატომ აირჩიეთ პროფესიად პედაგოგობა და ამ არჩევანის შედეგი როგორია ახლა?**

- პედაგოგობა ბავშვობიდან ძალიან მინდოდა, ეს ჩემი პირველი მასწავლებლის, მერი (კეკე) გულუას დამსახურებაა. ახლა 80 წლისაა, თავის საქმეს პირნათლად ასრულებს. ბავშვობაში ვბაძავდი მას, სარკის წინ დავჯდებოდი და ვატარებდი გაკვეთილებს. ბედნიერი ვარ, ეს პროფესია მავსებს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მუდმივად სწავლის პროცესში ხარ, უნდა ისწავლო, ყოველდღიურად განვითარდე, სიახლეები ეძებო და ამ სიახლეებს ფეხი აუწყო. მადლობელი ვარ ჩემი პირველი მასწავლებლის, სტიმული მომცა, რომ ეს პროფესია ამერჩია. ამ არჩევანის შედეგით კმაყოფილი ვარ. დიახ, ვასწავლი და ვსწავლობ...

**- როცა საკუთარი სულის ლაბირინთებში მოგზაურობთ და იქიდან განცდილი ქაღალდზე გადმოგაქვთ, ეს, ძირითადად, პროზაული ტექსტებია არა? ისე საინტერესოა ქაღალდზე წერთ, როგორც წინა თაობის მწერლები, თუ პირდაპირ მონიტორზე კრებთ?**

- საკუთარ თავთან საუბარი ყოველთვის მიყვარდა, ბავშვობიდან. მერე ეს ნააზრევი გადმოდიოდა ქაღალდზე ხან ლექსად, ხან მოთხრობად. ასე ვარ ახლაც, როცა ჩემი შინაგანი მონოლოგი ქაღალდზე გადმომაქვს. ცხადია, თანამედროვე ტექნოლოგიებს ვფლობ, მაგრამ წერას ქაღალდზე ვამჯობინებ. ვფიქრობ, რომ ვისაც კალამი უჭირს, ის უფრო მძაფრად და, ასე ვთქვათ, ხატოვნად გადმოსცემს ქაღალდზე თავის სათქმელს.

**- წერთ... აქვეყნებთ... მკითხველის და ლიტერატურული კრიტიკის შეფასება რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის? გამოხმაურება, რომელმაც დაგაფიქრათ...**

- კრიტიკის გარეშე ლიტერატურული პროცესების განვითარება შეუძლებელია. ვისაც არ ეზარება, დღეს ყველა წერს და ეს სწორედ ლიტერატურული კრიტიკის არასასურველი დონის ბრალია. შეიძლება ითქვას, ლიტერატურული კრიტიკა ჩვენში ერთგვარად ტენდენციურია, ხშირად აქებენ დაუმსახურებლად, ეს კი მწერალს აფერხებს და ხელს უშლის განვითარებაში და ასე გამოდის, რომ ამაში სწორედ მეხოტბე არის დამნაშავე. მადლობა უფალს, რომ ჩემ ირგვლივ არ არიან ასეთი მეხოტბენი, პირიქით, მაკრიტიკებენ და ეს კარგია, რადგან უამისოდ ვერც მე წავალ წინ. მკითხველები ხშირად მეხმაურებიან, თუმცა ისეთი გამოხმაურება არ მქონია, რომელიც ღრმად დამაფიქრებდა, ისე სასიამოვნო კი იქნებოდა, გულწრფელად ვამბობ.

**- განათლების სფეროში სიახლეები ინერგება, უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების ფონზე სწავლება ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს სკოლას, საზოგადოებას. სადაც თქვენ მუშაობთ, როგორ უწყობთ ამ ნოვაციებს ფეხს, პირადად თქვენ, თქვენი მოსწავლეები?**

- იცვლება დრო, ეპოქა და იცვლება შეხედულებები. ახლა ტექნოლოგიების ეპოქაა, ამ ეპოქას აქვს საკუთარი გამოწვევები - ციფრული გადატვირთვა დიდ ძალისხმევას მოითხოვს და შეიძლება. ჩვენი სკოლაც მაქსიმუმს აკეთებს ტექნოლოგიურ სიახლეებთან ადაპტირებისთვის. ჩვენი მიზანია: სწავლების პროცესი სასიამოვნო და მისაღები იყოს. თუ მოსწავლეს არ დააინტერესებ, ვერც ასწავლი, ყოველი გაკვეთილი სიახლით თუ არ იქნება გამორჩეული, მოსწავლეები დაკარგავენ ინტერესს. ჩემი მოსწავლეები ბევრს კითხულობენ, ეცნობიან ინფორმაციებს, სიახლეებს, ყველა გაკვეთილი ახალ სამყაროში მოგზაურობას ემსგავსება, მშობლიური ლიტერატურის თემატიკა და თანამედროვე ტექნიკური შესაძლებლობები სასწავლო პროცესს ესთეტიკურად მიმზიდველს და მრავალფეროვანს ხდის...



**- პანდემიის პერიოდში მუშაობამ რა დაფარული პრობლემები გამოავლინა, რამაც დაგაფიქრათ სწავლების ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობაზე? როგორც პრაქტიკოს მასწავლებელს, რა მიგაჩნიათ საჭიროდ, უპირატესობა რომელ საგნებს უნდა მიენიჭოს და რა უნდა დაემატოს?**

- პანდემია იყო ჩვენი ტრაგედია, რამაც არაერთი ძვირფასი სიცოცხლე შეიწირა, მათ სიაში მოხვდნენ ჩემი მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანი ადამიანები, ამან გავლენა იქონია მათ ფსიქიკაზე, შესაბამისად, მათ აკადემიურ მოსწრებაზეც, როგორც სწავლა-სწავლების პროცესზე, ასევე ფსიქოლოგიურადაც. გამოვლინდა უინტერესობა არა მარტო სწავლისადმი, არამედ გაუცხოება და გულგრილობა ერთმანეთის მიმართაც. სამი წელი არ არის ცოტა, ონლაინსწავლებამ დამარწმუნა, რომ ყოველ გამოწვევას მომზადებული უნდა შევხვდეთ, ფსიქოლოგიურ განწყობასა და მდგრადობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ახლა, როცა ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდით, უფრო თვალნათელია, რომ უმთავრესია მოზარდის სულიერი განვითარება, რომ კარგი განათლება, კარგი სწავლება მოსწავლის სულიერ ზრდას უნდა ემსახურებოდეს. ვფიქრობ, რომ სრულყოფილად უნდა ისწავლებოდეს ის საგანი, რომელი საგნისადმიც აქვს კონკრეტულ მოსწავლეს კონკრეტული ინტერესი. სკოლას თუ წარმატებით არ დაასრულებს, ზოგადი განათლება მაინც უნდა ჰქონდეს დამაკმაყოფილებელი. დღეს განათლების საჭიროების პიკია, ამიტომ ზოგადად, ყველაფერში უნდა ერკვეოდეს მოსწავლე. სასწავლო პროცესს ბევრი რამ შეიძლება დაამატო, თუნდაც სპორტული აქტივობები, ინტელექტუალური თამაშები. თუ მასწავლებელი არ არის პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი და ვერ შეძლებს მოსწავლის დაინტერესებას საგნის მიმართ, ყოველივე ფუჭია, მაგრამ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, მასწავლებელი ღმერთი არ არის, თუ მოსწავლე არ მოინდომებს და არ აჰყვება, ვერაფერს გახდება.

**- მოსწავლე ვიზუალურად ახლა ისე გამოიყურება, როგორც თავად მას სწადია, ხშირად გამომწვევადაც. თავისუფლების ასეთი გაგება კი, შეიძლება ითქვას, საზიანოა, „ოქროს შუალედი“ საძიებელია, არა? და როგორ?**

- ჩაცმა ზოგადად კულტურაა, ამიტომ ვინაიდან სკოლა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, მოსწავლე ჩაცმულობით არ უნდა ჰგავდეს რომელიღაც მუსიკალური ან სპორტული ჯგუფის წევრს, უნდა ეცვას აკადემიურად, მაგრამ გადაჭარბება და ზედმეტად ჩარჩოებში მოქცევა გამოიწვევს ძალიან დიდ უკუშედეგს. გვინდა არ გვინდა, ბევრი რამ უნდა დავთმოთ, მაგრამ სწორედ აქაა საჭირო „ოქროს შუალედი“, მოსწავლე უნდა დავარწმუნოთ, რომ ის არაა პანკი და არ შეიძლება მისებრ ვულგარულად ჩაცმა. კულტურული ყოფაქცევის წესების დაცვა რომ აუცილებელია, უნდა შევთანხმდეთ მშობლებთან ერთად და გამოვიმუშაოთ ჩაცმის კულტურა. რა თქმა უნდა, ეს ყოველდღიურ ყურადღებას მოითხოვს.

**- ვინ მიგაჩნიათ წარმატებულ მასწავლებლად? თქვენ რომ განათლების მინისტრი იყოთ, ვის დააჯილდოებდით უპირველესად?**

- წარმატებულ მასწავლებლად მიმაჩნია ჩემი პირველი მასწავლებელი მერი (კეკე) გულუა, რომელმაც ფულად ჯილდოზე უარი განაცხადა, ჩააბარა გამოცდები და 80 წლის ასაკში გამოიყურება მხნედ, შემართებით და არცერთ ახალგაზრდა კოლეგას არაფრით ჩამოუვარდება. განათლების მინისტრი რომ ვიყო, აი, ასეთ პედაგოგებს დავაჯილდოებდი.

**- ყოველი კარგი წიგნის წაკითხვის შემდეგ ვხდებით უკეთესი, ეს აქსიომად ქცეული აზრი რომელ ბოლო დროს დაწერილ წიგნებზე შეიძლება განვავრცოთ? რომელი თანამედროვე ავტორების წაკითხვას ურჩევდით ახალგაზრდებს?**

- ეს აქსიომაა ნამდვილად, ისე ბევრი ნაკითხი ადამიანი ვიცი, რომელმაც ვერაფერი ისწავლა და ორი იმდენიც რომ წაიკითხოს, ვერაფერს ისწავლის. კულტურა შინაგანად გაქვს, ან არ გაქვს. იმდენი ადამიანი ვიცი ჩემს გარშემო, ვისაც წიგნი ხელში არ აუღია, მაგრამ, ბუნებით ბრძენია, ცხოვრებაა მათი წიგნი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ უნდა წაიკითხონ, პირიქით, ძალიან, ძალიან ბევრი იკითხონ და შეიგნონ, შეიმეცნონ. ვის ვურჩევდი? ძველებიდან ვურჩევდი გამსახურდიას, ქარჩხაძეს და ახლებიდან - აკა მორჩილაძეს და გურამ დოჩანაშვილს.

**- რომ გთხოვოთ, ჯადოსნური სიტყვა მოიხმეთ-მეთქი, რა სიტყვა იქნება ეს?**

- ჯადოსნური სიტყვა არა, სიტყვები: მიყვარხარ, მაპატიე, მეიმედები! ეს სამი სიტყვა ჩემთვის არის სიცოცხლე, ბედნიერება და იმედი.

**- დაბოლოს, რას იტყოდით, რით დაასრულებდით ამ ინტერვიუს?**

- ამ ინტერვიუს ასე დავასრულებდი: გვიყვარდეს ერთმანეთი უანგაროდ, უპირობოდ, გავიტანოთ ერთმანეთი და ამ ხანმოკლე წუთისოფელში გავახაროთ ერთმანეთი. ვაცალოთ ერთმანეთს ცხოვრება, ისე, როგორც გვსურს.

ქრონიკა 101 №115 (24.995) შაბათი, 22-24.10.2022


# წყვილისთვის ქორწინება ერთგვარი გამოწვევაა

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

***ბედნიერი ქორწინება ყველა ქალის ნატვრაა. მის მისაღწევად მხოლოდ ქორწილი არ კმარა, საკმაოდ დიდი მონდომება და შრომაა საჭირო, რომ ორი ადამიანის თანაცხოვრება იღბლიანად ჩაითვალოს***

*დაქორწინების გადაწყვეტილება წყვილებს აძლიერებს, მაგრამ... ასუსტებს კიდეც. ერთად გატარებული დრო ურთიერთობას ამყარებს, მაგრამ თანაცხოვრება და ყოველდღიურობის გაზიარება შესაძლოა, გამოწვევა აღმოჩნდეს. ოჯახი ნიშნავს ერთმანეთის ყველა დადებითი და უარყოფითი თვისების დანახვას, კარგისა და ცუდის სააშკარაოზე გამოტანას და იმ რეალობის გამომზეურებას, რაც შეყვარებულობისას უხილავი იყო. სწორედ ამიტომ წყვილისთვის ქორწინება ერთგვარი გამოწვევაა. სწორედ ამ გამოწვევებსა და ურთიერთობების სიღრმეებზე ვესაუბრეთ ფსიქოლოგს, რეაბილიტაციისა და განვითარების ცენტრის ქცევით თერაპევტ* ***სოფიკო ჩინბას.***



**- არის შეხედულება, რომ არსებობს ცოლქმრული ურთიერთობის ხუთი ოქროს წესი, რომლებიც ოჯახს ბედნიერად აქცევს. რა წესებია ეს და რამდენად მართებულია ასეთი ფორმულირება?**

- ზოგადად, ცოლქმრულ ურთიერთობაში თეორიულ დონეზე ძალიან ბევრი წესი არსებობს, რომლებსაც ფსიქოლოგები გამოყოფენ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ყველაზე მნიშვნელოვანს: ურთიერთპატივისცემას, ყურადღებას, გრძნობების, ემოციების გამომჟღავნებას, დათმობაზე წასვლას, ნდობას, პატიებას. რა თქმა უნდა, არსებობს ზოგადი წესები, რომლებსაც ოჯახი ან ითვალისწინებს, ან არა, რადგან ყველას თავისი წესი აქვს. ისეთ ოჯახს, სადაც ადამიანებს არ უყვართ ერთმანეთი, ღალატი და „მოვალეობის მოხდის მიზნით" ცხოვრებაა პრიორიტეტული, რა თქმა უნდა, პოზიტიური წესები ვერ ექნება. ცხოვრებას თავად ვქმნით საინტერესოდ და აუცილებელია მისი შენარჩუნება ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმებიდან გამომდინარე. გვინდა თუ არა, გარკვეული წესების დაცვამდე მივდივართ, მაგრამ ეს უნდა იყოს სასიამოვნო.

**- არ არსებობს უპრობლემო ოჯახი, მაგრამ მაინც... ნაადრევი განქორწინების უმთავრესი მიზეზი რა არის?**

- სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ოჯახი ინგრევა და მიზეზიც ძალიან ბევრი შეიძლება იყოს, პირველ რიგში - უსიყვარულობა, გულგრილობა, მატერიალური კრიზისი, ურწმუნოება. თუ ადამიანი გიყვარს, ყველანაირი კრიზისი დაძლევადია „ერთ სულ და ერთ ხორც". სწორედ განსაცდელის ჟამს რწმუნდება ადამიანი საკუთარ გრძნობებში, ამ დროს გამოჩნდება, რამდენად უყვარს, რამდენად გაძლიერდება და გააძლიერებს მეორე ნახევარს... მოკლედ, ყველაფერი დაძლევადია, თუკი სიყვარულია, რომელიც მამოტივირებელი ძალა უნდა იყოს. ხშირად ოჯახის შექმნისას ყურადღებას მხოლოდ ერთმანეთის ვიზუალურ მხარეს აქცევენ. ასეთი სიყვარულიც ძალიან ხშირად სწრაფად დასრულებულა.

> *თუ უკიდურესი შემთხვევაა და სხვა ადამიანის დახმარებაა საჭირო, რა თქმა უნდა, აუცილებელია საახლობლო წრის ჩართვა, თუმცა, ჩემი აზრით, პრობლემა მაინც წყვილმა უნდა მოაგვაროს, რათა მომავალში ნათესავები მათ ცხოვრებაში ხშირად არ ჩაერიონ*

**- საქართველოში შეყვარებულები ხშირად ნაადრევად ქორწინდებიან... მშობლების იმედით, რადგან თავად მყარი შემოსავალი არ აქვთ. რამდენად ხდება ეს კონფლიქტის მიზეზი?**

- რა თქმა უნდა, ნაადრევი ქორწინება წარმოშობს ბზარს ურთიერთობებში, რაც ყველა ასპექტში გამოიხატება. სამწუხაროდ, ოჯახები, რომლებიც მხოლოდ მშობლების უზრუნველყოფით იქმნება და დაოჯახებულ წყვილს არ აქვს შესაბამისი შემოსავალი, ხშირად განწირულია. თანადამოკიდებულება იწვევს თვითშეფასების დაქვეითებას, რაც თავის მხრივ სხვაგვარ პრობლემებს წარმოშობს, ახალგაზრდები სტრესისა და დეპრესიისკენ მიდრეკილნი ხდებიან, განსაკუთრებით ისინი, თავს იმედგაცრუებულად რომ გრძნობენ. თუ პირველ ეტაპზე პრიორიტეტული სიყვარული იყო, ნამდვილი გრძნობის არარსებობის შემთხვევაში საერთო სურათი იცვლება.

**- სტატისტიკურად თუ არის აღრიცხული, საქართველოში განქორწინების უმთავრესი მიზეზი რა არის და ამ მხრივ ინიციატორები მამაკაცები უფრო არიან თუ ქალბატონები?**

- შარშანდელ სტატისტიკას თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ პირველი ქორწინებიდან განქორწინებულთა რიცხვი ქალებისა და მამაკაცების შემთხვევაში 10000-ზეა, ხოლო მეორადი ქორწინების შემთხვევაში გაცილებით დაბალი - 1500-1500-ზე. განქორწინების ინიციატორები უმეტესად ქალები არიან ქმრის ღალატის თუ მათზე ძალადობის გამო. ასევე მიზეზად ასახელებენ შეუთავსებლობას, მეუღლის უპასუხისმგებლობას.

**- უცხოეთში წყვილები პრობლემების წარმოშობისას ფსიქოლოგებთან დადიან, ჩვენთან რა მდგომარეობაა?**

- საზღვარგარეთ ძალიან ბევრი ოჯახი დადის ფსიქოთერაპევტთან. ეს, რა თქმა უნდა, სურვილზეა დამოკიდებული, რომელიც ორმხრივი უნდა იყოს. საზღვარგარეთ ბევრი ოჯახი ინგრევა, თუმცა, კრიზისების მიუხედავად, ცდილობენ ურთიერთობების შენარჩუნებას, თუ არ ჩავთვლით გამონაკლის შემთხვევებს. სამწუხაროდ, საქართველოში ამ სერვისით ადამიანები ნაკლებად სარგებლობენ, რისი მიზეზი თანხის უქონლობაცაა. ხშირად არ სჯერათ, რომ ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებაში ფსიქოლოგმა შეიძლება დიდი როლი შეასრულოს. მხოლოდ ფსიქოლოგის სეანსები ყველა ოჯახს ვერ შეინარჩუნებს. მთავარია ძალადობის, პატივისცემის შენარჩუნების და ერთმანეთის გადაწყვეტილების მიმღებლობა და განცდა იყოს მაღალი.

**- თუ გქონიათ პრაქტიკაში წყვილის მხრიდან პრობლემებზე ღიად საუბრის შემთხვევა?**

- წყვილის - არა, თუმცა ოჯახიდან ერთ-ერთს მოუმართავს შეკითხვით, როგორ მოეგვარებინა პრობლემა, რომელიც ოჯახის ნგრევამ გამოიწვია, ეს იყო ოჯახში არსებულ მდგომარეობასთან გამკლავება, ბავშვების დამოკიდებულება დედისადმი... ყოფილა შემთხვევები, როცა ბავშვები განიცდიან მშობლების განშორებას, ცდილობენ მათ შერიგებას, სურთ ცხოვრება ორივე მშობელთან... ბავშვის მდგომარეობაზე ძალიან მოქმედებს ეს ფაქტორი.

**- როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, განქორწინების ერთ-ერთი მიზეზი წყვილის სულიერი და სექსუალური შეუთავსებლობაა...**

- სექსი სიყვარულს არ გულისხმობს, თუმცა სექსის გარეშე სიყვარულიც არ არსებობს. გამორიცხულია, ადამიანს საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის პერიოდში არ გაუჩნდეს სექსუალური ფანტაზიები და აუცილებელია, ყურადღება მიექცეს მსგავს საკითხებს, რადგან შესაძლოა, ამას სერიოზული პრობლემები მოჰყვეს წყვილის ურთიერთობაში. ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანები ერთმანეთს სექსუალური შეუთავსებლობის გამო შორდებიან.

**- ეკონომიკურად ძლიერი წყვილებიც ხშირად დაშორებულან, ცხადია, მიზეზი სხვადასხვაა, მაგრამ, მაინც - ძირითადი რომელია?**

- ამის მიზეზი, პირველ რიგში, არასაკმარისი სიყვარულია, ამიტომაც ფული არ უნდა იყოს მთავარი კრიტერიუმი ოჯახის შექმნისას, რადგან ეს უფრო სტატუსის მინიჭების სურვილია, ვიდრე სიყვარული, ნდობის ჩამოყალიბება. ხშირად მსგავსი ოჯახების ნგრევას ღალატი იწვევს. სადაც სიყვარული არაა, იქ ღალატი და უპატივცემულობა წინა პლანზეა წამოწეული, ამიტომაც პარტნიორები ერთმანეთს არ უფრთხილდებიან და პასუხისმგებლობას არ გრძნობენ. ხშირია შემთხვევა, როცა მესამე პირი ერევა ურთიერთობაში, მაგრამ საბოლოოდ აქაც არასაკმარისი სიყვარულია ურთიერთობის ნგრევის მიზეზი. ვინც არ



უნდა ჩაერიოს ამ ურთიერთობაში, სიყვარული სიყვარულია და ვერავინ უნდა შეძლოს მისი მორევა.

**- როგორც ფსიქოლოგი, რას ურჩევთ წყვილებს, როგორ მოაგვარონ პრობლემები და „მესამე" პირის (დედა, მამა, მეგობარი) ჩართვა ცოლქმრულ ურთიერთობებში რამდენად გამართლებულია?**

- ოჯახში არსებული პრობლემების დროს უმთავრესია, წყვილმა თავად მოაგვაროს პრობლემები, გააცნობიეროს პრობლემის არსი. „მე ვარ მართალი" - ამ პრინციპით არ უნდა იხელმძღვანელონ, ოჯახის შენარჩუნების აუცილებლობამდე არ უნდა მივიდეს საქმე, რადგან თუ ხშირად დაინგრა და აღდგა ოჯახი, იქ ბზარი მაინც რჩება. თუ ადამიანი გაითავისებს თავის წილ უარყოფით ქცევას, მხოლოდ მაშინ იქნება მიღწეული შედეგი, რადგან როცა მესამე, მეოთხე პირი ერთვება ამ პროცესში და ვიღაცას რაღაცის ახსნა უწევს, როდესაც სხვას (ვგულისხმობ ოჯახის წევრს, ნათესავს...) ხდი შენი პრობლემის თანამონაწილედ, არცთუ ისე სასიამოვნო პროცესია. თუ უკიდურესი შემთხვევაა და სხვა ადამიანის დახმარებაა საჭირო, რა თქმა უნდა, აუცილებელია საახლობლო წრის ჩართვა, თუმცა, ჩემი აზრით, პრობლემა მაინც წყვილმა უნდა მოაგვაროს, რათა მომავალში ნათესავები მათ ცხოვრებაში ხშირად არ ჩაერიონ.

**- მოგეხსენებათ, საქართველოში წყვილი ძირითადად მშობლებთან ცხოვრობს, უცხოეთისგან განსხვავებით. დაოჯახებულების ცალკე ცხოვრება რამდენად განაპირობებს წყვილის მყარ ურთიერთობას, თუ ყველაფერი მაინც ინდივიდებზეა დამოკიდებული?**

- ძალიან კარგია, როცა ოჯახური წყვილი ცალკე ცხოვრობს - ისინი უფრო დამოუკიდებლები არიან, მეტი მოტივაცია აქვთ, პასუხისმგებლობა აიღონ ოჯახზე. ამ შემთხვევაში ნაკლები პრობლემა იჩენს თავს ოჯახში, რომლებიც შესაძლოა, უფრო მარტივად მოგვარდეს. დიდ ოჯახში როცა ცხოვრობ, ადამიანებს უწევთ სხვების აზრის გათვალისწინება, ზოგს რაღაც მოსწონს, ზოგს - არა... მსგავსი პრობლემები უთანხმოებას წარმოშობს. ზოგჯერ პარტნიორები ბრაზდებიან, რადგან ვერ ამბობენ, რასაც ფიქრობენ. ეს ჯაჭვი დროთა განმავლობაში იზრდება, რთულდება და ბოლოს წყდება, მაგრამ ზემოაღნიშნული არ ნიშნავს, რომ მარტო ცხოვრების შემთხვევაში უთანხმოებები არ ხდება. ოჯახი ამ შემთხვევაშიც შეიძლება დაინგრეს. ხშირია შემთხვევა, როცა წყვილი მარტო ცხოვრობს, მაგრამ მათი მშობლები ზედმეტად არიან ჩართული ოჯახის შიდა საქმეებში. ეს ისევ უთანხმოებას იწვევს ურთიერთობებში, ერთმანეთს აქეზებენ, ეგოისტურად არიან განწყობილნი, რაც ქმნის წრეებს, სადაც იზრდება პრობლემები. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, გიყვარდეთ და გაუფრთხილდეთ ერთმანეთს.

# აიკრძალება თუ არა პიტბულის შემოყვანა და გამრავლება საქართველოში?

ნანა აბულაძე 591 98 59 17

***„პიტბულის ჯიშის ძაღლმა ოთხი ადამიანი დაგლიჯა", „პიტბულმა პატრონი დაგლიჯა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა", - მსგავს ინფორმაციებს ბოლო პერიოდში არაერთხელ ვისმენთ, რამაც საზოგადოებაში შიში და პანიკა გამოიწვია ამ ჯიშის ძაღლების მიმართ. ადამიანები პიტბულის პატრონებს მოუწოდებენ, ალიკაპის გარეშე არ გაიყვანონ ძაღლი ქუჩაში. ხშირად არც ესმით, რატომ უნდა იყოლიო ოჯახში ძაღლი, რომელმაც შეიძლება ერთ დღეს პატრონიც ვეღარ იცნოს და დააზიანოს, ან მეტიც, სიცოცხლე მოუსწრაფოს.***



გავრცელებული ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბილისის მერიისა და სხვა უწყებების ჩართულობით, მუშაობს შინაური ცხოველების შესახებ რეგულაციების შექმნაზე, რომლის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, შესაძლოა, ქვეყანაში საერთოდ აიკრძალოს კონკრეტული ჯიშის ძაღლების შემოყვანა და გამრავლება, ასევე შესაძლოა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს იმ ადამიანს, ვისი ძაღლიც სხვას დააზიანებს. აღნიშნული რეგულაციები არ გულისხმობს იმას, რომ ვისაც უკვე ჰყავს „აგრესიული ჯიშის" ძაღლი, „გააქროს", დააძინოს... შეზღუდვა გულისხმობს, რომ აღარ მოხდება მსგავსი ჯიშის ძაღლის გამრავლება და შემოყვანა. საუბარია იმაზეც, რომ „აგრესიული ჯიშის" ძაღლების გასეირნება აეკრძალოს 16 წლამდე ადამიანს.

- ვფიქრობ, აუცილებელია რეგულაციების შემოღება და მივესალმები კიდეც. ყოველდღე გამყავს სუფთა ჰაერზე ბავშვი ბულვარში და ძალიან ხშირად მხვდებიან ადამიანები, რომლებიც პიტბულს ალიკაპის გარეშე ასეირნებენ. შენიშვნა რომ ვუთხარი, ჯერ არავისზე შეუღრენია, ჩემი პიტბული აგრესიული არ არისო, მისაყვედურეს. როგორ შეიძლება განსაზღვრო, რა მომენტში როგორ მოიქცევა ძაღლი? ამით ხომ საკუთარ თავსაც და სხვასაც საფრთხეში აგდებთ?! მართლა ძალიან მეშინია, პარკში სეირნობისას სულ მგონია, რომ უნდა მომვარდეს და მიკბინოს. ძალიან ვთხოვ ასეთი ჯიშის ძაღლების პატრონებს, ნუ შეგვიქმნიან საფრთხეს, - გვითხრა ლია მახარაძემ.

პიტბული ჰყავს ლიზი ბერიძეს, რომელმაც ერთგვარი გულისტკივილით გვითხრა, რომ უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიუხედავად (ალიკაპით გამოჰყავს ძაღლი ქუჩაში), მაინც გრძნობს ადამიანებისგან აგრესიას, ლანძღვაც კი მოუსმენია, რომ პიტბული ჰყავს და არა სხვა ჯიშის ძაღლი.

- რა ვქნა, ჩემი ძაღლი ყველას და ყველაფერს მირჩევნია. რამდენიმე წელია მშვიდად და ბედნიერად ვცხოვრობთ. ქუჩაში ქოქოლას მაყრიან და როგორც ძაღლის, ისე ჩემდამიც გამოხატავენ ზიზღს. სეირნობისას ალიკაპით გამომყავს, ამ ბოლო დროს უფრო დაძაბული ვარ და განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ. როგორც დედას ვერ დააჯერებ, რომ მისი შვილი იარაღს აიღებს და მოკლავს, ისე არ მჯერა მეც, რომ ჩემი ძაღლი რაიმეს დამიშავებს, - გვითხრა ლიზიმ.

ფაქტია, აღნიშნული ჯიშის ძაღლის ყოლას მომხრეებიც ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც, თუმცა ბოლო დროს მომხდარი ფაქტები მიგვანიშნებს, რომ მსგავსი ტრაგედიების თავიდან ასაცილებლად, შესამუშავებელია რეგულაციები. ეს სიმშვიდის საშუალებას მისცემს ადამიანებს, რომლებიც, მარტო თუ ბავშვებთან ერთად, სასეირნოდ დადიან ბულვარსა და პარკებში.

# ზვარე - მომავლის სოფელი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***სამი წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ წყაროთის მიმდებარე ზვარეს ტერიტორია, რომელიც უპატრონოდ იყო მიტოვებული, წალკოტად იქცეოდა. რამდენიმე ჰექტარ ტერიტორიაზე 1000 ძირი ვაზი გაშენდა, მეფუტკრეობა განვითარდა, აჭარული ბეღელი მოეწყო, აშენდა მართლმადიდებლური ტაძარი. ამ ყველაფრის შემოქმედი ბიზნესმენი ასლან (ლევან) მჟავანაძეა. იგი წლებია ქვეყნის, კუთხის სამსახურშია. ამ დღეებში მისი ნაშრომ-ნაამაგარი რეგიონში მოღვაწე მწერლებმა, პოეტებმა, ხელოვანებმა, საზოგადოების სხვა წარმომადგენლებმა დაათვალიერეს***

თანასოფლელებს 90-იანი წლებიდან მოყოლებული, გვერდით უდგას. საჯარო სკოლა რომ შენდებოდა, თანხის ნახევარზე მეტი გაიღო. ერთ უბანში საავტომობილო გზა მისი დაფინანსებით გაკეთდა.

2020-2021 წლებში პანდემიამ მთელ პლანეტაზე ცხოვრების, შრომის ნორმალური რიტმი რომ შეატორტმანა, წყაროთელი ბიზნესმენი ჯერ თანასოფლელებს, შემდეგ თანახეობელ ჭვანელებს გვერდით დაუდგა - ხორბლის ფქვილით, სასურსათო პროდუქტებით ამარაგებდა.

სამთო-სათხილამურო კურორტი გომარდული ბიზნესმენების თანადგომას ითხოვდა. ლევან მჟავანაძის მატერიალური თანადგომა აქაც საჩინო და დაუმადლებელი იყო.

შუახევი დოტაციური მუნიციპალიტეტია. რაიონის ყოფილი და ახლანდელი ხელმძღვანელების ძალისხმევა, ხალხმრავალი ღონისძიებების, საზეიმო შეკრებების ორგანიზებისკენაა მიმართული. ადგილობრივ ბიუჯეტში თანხების სიმწირე რიგ პრობლემებს ქმნის. ლევან მჟავანაძის თანადგომა ამ მიმართებითაც ჩანს. «ჯვარიმინდვრობის» ფესტივალი იქნება თუ «შუამთობა», მისი როლი ყველგან გამოკვეთილია. ამის მიუხედავად, საკუთარ ქველმოქმედებაზე საუბარს ყოველთვის ერიდება.

ზვარეში მისვლა ახალდაბიდან ან ჭვანიდან ჭალისა და წყაროთის გავლითაა შესაძლებელი. ამჟამად ეს სასიცოცხლო არტერია ასფალტ-ბეტონის საფარითაა კეთილმოწყობილი. ოთხი



წლის წინ, ვიდრე ლევანი ზვარეს კეთილმოწყობას დაიწყებდა, წყაროთა-ახალდაბის გზის გაყოლებაზე ჯვარი აღმართა, რომელიც სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურებმა საზეიმოდ აკურთხეს. აქედან ზვარეში მისასვლელი გზა უხეირო, თანამედროვე სტანდარტების შეუსაბამო იყო. წელს, კომპეტენტურ ორგანოებთან შეთანხმებით, თითქმის ერთი კილომეტრი ახალი გზა გაიყვანა, რომელიც მოაშანდაკა და დაზამთრებამდე ასფალტის დაგებასაც აპირებს. ეს საკომუნიკაციო საშუალება რამდენიმე კილომეტრით ამცირებს ზვარემდე მანძილს.

მშვიდი, მყუდრო გარემო, ქარისგან დაცული ტერიტორია, ირგვლივ ფოთლოვანი ტყეებით და სათიბ-საძოვრები, საუკეთესოა ფუტკრის მოვლა-მოშენებისთვის. ლევანს ტრადიციული დარგი ყველაზე მეტად იზიდავს. ქობულეთის პროფესიულ კოლეჯში უკვე ამზადებს სპეციალისტებს, რომლებსაც მომავალში 500-მდე სკას ჩააბარებს. დათვებისგან სკების დასაცავად, ტერიტორია რკინის კონსტრუქციებითაა შემოსალტული. იქვე გაკეთებული აქვს ლაბორატორია, რომელიც თაფლის ამოღებას და დაფასოებას მოემსახურება.

- გეჯის (ჯარას) თაფლი იუნესკომ კულტურულ მემკვიდრეობათა ნუსხაში რომ შეიტანა, იმ დღიდან ხაბელაშვილებელ, ნაღვარეველ ახლობლებს ცაცხვის გეჯების დამზადება შევუკვეთე. ხელი, ყურადღება რომ არ დავაკელი, ფუტკარმა იხეირა. იმასაც გეტყვით, რომ ძველებურად ვეღარ ნახავ კლდეებში შემოდგმულ სკებს, რომლებშიც ფუტკარი ბუნებრივად იბუდებდა. თუ საშუალება მომეცა, კლდეებშიც ვაპირებ სკების შემოდგმას. ველურ პირობებში ფუტკარი კარგად იზამთრებს და თაფლსაც ხარისხიანს იძლევა, - გვითხრა ლევან მჟავანაძემ.

სამი წლის წინ გაშენებული ჩხავერის ჯიშის ვაზს წელს «ნიშანი» მოუცია.

- მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მინახავს, უნიკალური ზვრები, მაგრამ გარემოსთან შეხამებული, ქვაფენილებით მორთული, ასე მოვლილი ვაზი პირველად ვნახე, - თქვა პოეტმა ბელა ქებურიამ ზვარის მონახულებისას.

> ***„რაც ჩვენ ვნახეთ, წარმოუდგენელი რამაა. სიტყვა ვერ აღწერს. ესაა იშვიათი შემთხვევა, როცა გაკეთებული სიტყვებს სჯობია. სიტყვა ხომ პირიქით, უნდა სჯობდეს გაკეთებულს, მაგრამ ამ შემთხვევაში... არ ვიცი, სიტყვები აღარ მყოფნის***

ზაფხულის ცხელ დღეებში ზვარეში არსებული ახალშენი წვეთოვნად ირწყვებოდა. ზვრების თავზე გაკეთებულ 40-ტონიან აუზში დაგროვილი წყალი ტერიტორიის მოსარწყავად საკმარისად ითვლება.

ლევანს ვაზთან მიმართებაშიც გარკვეული გათვლები აქვს. აგროწესებისა და აგროვადების დაცვით, თითოეულ ძირზე 5 კილოგრამამდე ჩხავერს დაკრეფს, რაც სავსებით საკმარისია, რომ ქვეყნის ბაზარზე საკუთარი ბრენდის ღვინო გაიტანოს.

ამ ეტაპზე ზვარეში 30-მდე ადამიანია დასაქმებული. ისინი მარტო ვაზის, ფუტკრის, ხეხილის მოვლა-პატრონობით, სამშენებლო ობიექტებზე მუშაობით როდი არიან დაკავებულნი. ლევანს 4 ჰექტარამდე ტერიტორია მომავლის სოფლის სიახლოვეს აქვს შემოკავებული. იგი პირუტყვის საბალახოდაა განკუთვნილი. იქვეა აშენებული მათი მომვლელებისთვის საცხოვრებელი სახლი. ჯერჯერობით 40-მდე ღორს და 10-მდე ძროხას, მის ნამატს უვლიან.

- აქ ვინც იცხოვრებს, ასევე, უცხოელი თუ ადგილობრივი ტურისტი, რომელიც დასათვალიერებლად, ადგილობრივი კულინარიის, დაწურული ღვინის, დაკრეფილი ხეხილის, სკიდან ახლად ამოღებული თაფლის, წყლის წისქვილზე დაფქული სიმინდის მჭადის, ხორცის დასაგემოვნებლად გვესტუმრება, მათ ნატურალურ რძის პროდუქტებსაც არ მოვაკლებთ, - გვითხრა ბიზნესმენმა.

მწერლები, პოეტები, მომღერლები ყველაზე მეტ ხანს კოპწია სამლოცველოსთან დაყოვნდნენ. სულ მალე სამლოცველო იკურთხება. ყველას, მათ შორის ლევანს, მის მეუღლეს ნონა კახიძეს, ხუთ შვილს, სანათესაოს იქ მოლოცვის საშუალება ექნებათ.

- ბევრი მინახავს, ჩემს მშობლიურ სოფელში მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობა მივიღე, მაგრამ ასეთი გემოვნების, კედლებში ჩატანებული ორნამენტებით აგებული სამლოცველო პირველად ვნახე. ეს აჭარაში გადარჩენილი ქართული სიტყვისა და დაბრუნებული მრწამსის სიმბოლოდ მიმაჩნია, - თქვა ჩოხოსანმა, ბათუმის კოლორიტმა ჯონი ბარამიძემ.

არქიტექტორის, მშენებლის ჩანაფიქრს გარემოც უნდა ერწყმოდეს. გარემოს კარნახით იყო, როცა ლევანმა კლდე გამოტეხა და შესანიშნავი კვების ობიექტი, ბუხარი, სხვა ატრიბუტიკა გააკეთა. საპატიო სტუმრები მომავლის სოფლის დათვალიერებას მორჩნენ თუ არა, მთისთვის ჩვეული კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

ჩვენი ყოფილი კოლეგის, ნუგზარ ჯაფარიძის ვაჟმა ზაალ ჯაფარიძემ დრონის პულტი მომართა და ტერიტორია ვიდეოფირზე აღბეჭდა. ბელა ქებურია, ნანახით აღტაცებულ-აღფრთოვანებული, ვერანდაზე ფოტოებს იღებდა...

დიდ საქმეში ლევანი მარტო არ არის. მას დედმამიშვილები, ახლობლები გვერდით უდგანან. მშრომელი ადამიანების მარჯვენა ყველაფერს ეტყობა, მათ შორის, ნაპატრონებ ბოსტანს, სადაც ტკბილი წიწაკის, ქინძის, რეჰანის, პრასის, ოხრახუშის დაკრეფა არ გაგიჭირდებათ.

- ტერიტორიას ნაკადული ჩამოუდის. იყო წლები, როცა მარტო წყაროთაში 10-მდე წყლის წისქვილი იყო. ბავშვობაში საფქვავი მეც მიმქონდა. ახლა წყლის წისქვილები დენის წისქვილებით ჩაანაცვლეს. ნაკადულზე არის დებეტი, რომ წყლის წისქვილი გავმართო. ზაფხულში წყალი თუ დეფიციტი იქნება, აუზიდან მოვუშვებ, - უხსნის სტუმრებს ლევანი. კლდეში ნაკვეთ მარანში გაშლილ სუფრას ცნობილი თამადა, პროფესორი, პროვიზორი, «ჰეკატეს» პრეზიდენტი, თორმეტი წიგნის ავტორი ვლადიმერ მახარაძე წარუძღვა. მან, ასევე, მისმა ძმამ აკაკი მახარაძემ, აჭარის მწერალთა თავკაცმა დავით თედორაძემ, პოეტებმა ცისანა ანთაძემ, ბელა ქებურიამ, ჯემალ სურმანიძემ, ვახტანგ ღლონტმა, მომავლის სოფელს თავიანთი წიგნები დაუტოვეს. სუფრასთან ქართული სიტყვის, მშრომელი კაცის, მთის წიაღში ჩაგვირისტებული სოფლის და მისი შემომქმედის სადღეგრძელო ითქვა.

ლევან მჟავანაძის სტუმრებს შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ.

**დავით თედორაძე**: - ხელთუქმნელი საქმეები გაკეთებულა. ეს საგანძურია. ჩვენს კუთხეში და არც სხვაგან, ასეთი გემოვნებით გაკეთებული არაფერი მინახავს. საკუთარი წიგნი რომ ვუსახსოვრე, წავუწერე: «თვალის ჩინზე უფრო საჭირო კაცი, საფიცარი საქართველოსთვის და განსაკუთრებით ჩვენი კუთხისთვის». საქმოსანმა ადამიანებმა, თუნდაც აქაურმა ბიზნესმენებმა, ამ კაცს უნდა მიბაძონ. სხვაგან თუ არა, თავიანთ სოფელში მაინც დასამახსოვრებელი



ობიექტი ააგონ. აქაურობა შემიყვარდება, სული მომთხოვს, მრავალჯერ ამოვიდე, ნაკეთობებს მოვეფერო. ბატონმა ლევანმა მიყრუებული ტერიტორია გააცოცხლა, მარტო პროექტი რად ღირს. როგორც გალაკტიონი ნიკორწმინდაზე ამბობს:

**«აქ რომ თაღებია, სვეტთა შეკონება,**
**ისე ნაგებია, სიზმრის გეგონება,**
**ნეტა ვინ ააგო, რა ნიჭმა ააგო...»** მართლაც, ნიჭიერების უბადლო გამოძახილის მხილველნი ვართ.

**ცისანა ანთაძე:** - ჩემი სათაყვანებელი გაზეთის მკითხველს ყოველგვარი კომენტარის გარეშე, ექსპრომტად დაწერილ ლექსს შევთავაზებ, რომელსაც სათაურად «მოდით, შვილებო...» გამოვუტანე:

**აქეთ ხევია, იქით ხევია,**
**შუაშიც მწვანე ხევია,**
**შემოხვევია ნისლი მწვერვალებს,**
**სურო ხეს შემოხვევია.**
**შემოდგომაა. აქ ცაც და მიწაც**
**სიყვარულს ესარჩლებიან.**
**თავსასთუმალი ოქროსი ერგოთ**
**ამ მთებს, ბუმბერაზმხრებიანს.**
**ეს ეკლესიაც, ზეცის ხელდასმა -**
**წმინდა და ძველისძველია...**
**მოდით, შვილებო, მოდით, მამებო,**
**ანგელოზები გველიან.**
**ეს ეკლესია ერეკლესია,**
**დავითისა და თამარის...**
**ხედავთ, ზეციდან მზეც შემოგვცქერის**
**- თამარის ოქროს ქამარი**
**და ოქტომბერიც - ზეცის ხელწერა,**
**მთებს შეაჟრჟოლებთ ზარის ხმა...**
**უფალმა მოგვცა ცის გასაღები,**
**ვინაც საუფლო გვარის ვართ.**
**მალე ზეცასაც გადაუქროლებს**
**გიორგის რაში, ფრთამალი...**
**ჰა, ცისარტყელაც ლაპლაპებს ციდან**
**- თამარის ოქროს ქამარი.**
**ეს ეკლესიაც ერეკლესია,**
**წმიდა და ძველისძველია,**
**მოდით, ძმებო და მოდით, შვილებო,**
**ანგელოზები გველიან...**

**ვახტანგ ღლონტი:** - ღმერთო, ჩემს საქართველოში თითოეულ სოფელს, დაბას, ქალაქს თითო ასეთი კაცი მიეცი. რაც ჩვენ ვნახეთ, წარმოუდგენელი რამაა. სიტყვა ვერ აღწერს. ესაა იშვიათი შემთხვევა, როცა გაკეთებული სიტყვებს სჯობია. სიტყვა ხომ პირიქით, უნდა სჯობდეს გაკეთებულს, მაგრამ ამ შემთხვევაში... არ ვიცი, სიტყვები აღარ მყოფნის.

**თენგიზ თავდგირიძე, ჩოხოსანთა დასის აჭარის სადროშოს ხელმძღვანელი:** - მახსენდება, როცა ბავშვთა ანსამბლ «მზიურს» ასე აფასებდნენ: «აჩვენეთ ეს ბავშვები მსოფლიოს და ომი არ იქნება». ნახონ ჩვენი ქვეყნის, ეროვნული ადათ-წესების, მართლმადიდებლობის მოძულეებმა აქ გაკეთებული და ქართველი კაცი, საქართველო ისე შეაფასონ. ის სამლოცველო, რომელიც აქ ვნახეთ, მრავლისმეტყველია. ბატონი ლევანი მშობლიურ ადგილებს ცეცხლითა და მახვილით წართმეულ მრწამსს უბრუნებს.

**პაატა ჭურკვეიძე, ანსამბლ «ბთუმის» სოლისტი:** - აქ გაკეთებული ხალისს გმატებს, სიმღერის ხასიათზე გაყენებს. ასე იყო შემოდგომის წვიმიან დღესაც, როცა ჩვენი სიმღერები, ლექსების კითხვა ხეობას ექოდ მოეფინა. ყველა გაგვაოცა ბატონი ლევანის მშვიდმა ხასიათმა, საუბრის, მსჯელობის ტონმა. ის საქმის კაცია.

ზვარეში «მომავლის სოფლის» მშენებლობა გრძელდება. საქმის მოთავე ყოველ დღეს, ყოველ საათს მაქსიმალურად იყენებს, რომ აგური აგურს დაადოს, ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანოს. არც იმას მალავს, რომ ზვარეში გაწეული შრომის, გაღებული თანხის ფასად მრავალბინიან კორპუსს ააშენებდა. ამ მიმართებითაც ბევრი აქვს გაკეთებული, თუმცა ისინი სოკოსავით წამომართულ შენობებს შორის ისე კარგად არ ჩანან, როგორც ზვარეში გაკეთებული. აქაურობის გვირგვინი კი ის სამლოცველოა, სადაც მალე სანთლები დაინთება, მშობლიურ ენაზე უფალს შეევედრებიან და ქვეყანას, მართლმადიდებელ ერს დალოცავენ.

# საპროტესტო აქცია... ირანის საკონსულოსთან




ბათუმში, ირანის საკონსულოსთან, უკრაინიდან დევნილმა მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. შეკრებილთა განცხადებით, ისინი ირანის მიერ რუსეთისთვის დრონების მიყიდვის წინააღმდეგნი არიან, რადგან სწორედ ამ დრონებით იღუპებიან ბავშვები და ნადგურდება ინფრასტრუქტურა.

„ირანის სამხედრო დახმარება რუსეთის მიმართ ხელს უწყობს უდანაშაულო ადამიანების კვლას, ეხმარება რუსეთს რომ უკრაინაში ომის გახანგრძლივებაში. ტერორისტულ სახელმწიფოს არავინ უნდა ეხმარებოდეს. ირანი ტერორიზმის სპონსორია“, - განაცხადეს შეკრებილებმა. მათ ირანის საკონსულოსთან უკრაინის ჰიმნი შეასრულეს და მის შენობას ქაღალდის თვითმფრინავები ესროლეს.

**ამირან ბურიელიძე**

# ოკუპანტები და კოლაბორანტები ხერსონის ოლქის ქალაქ ბერისლავს ტოვებენ



ინფორმაციას ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ავრცელებს.

„არსებული ინფორმაციით, ხერსონის ოლქის ბერისლავში ამა წლის 19 ოქტომბრიდან საოკუპაციო ხელისუფლების ყველა ორგანოს საქმიანობა შეწყვეტილია. ასევე ცნობილია, რომ ქალაქის დატოვებას ოჯახებსა და საკუთრებასთან ერთად აგრძელებენ კოლაბორანტები, რომლებიც რუს ოკუპანტებთან თანამშრომლობდნენ“, - წერია უკრაინის გენერალური შტაბის განცხადებაში.

**ამირან ბურიელიძე**

## უკრაინა

რუსმა ოკუპანტებმა უკრაინაში შეჭრის დაწყების დღიდან 429 ბავშვი მოკლეს, - ამ ინფორმაციას უკრაინის გენერალური პროკურატურა ავრცელებს. „21 ოქტომბრის დილისთვის არსებული ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა 429 ბავშვი და დაშავდა 817“, - აღნიშნულია ინფორმაციაში. უკრაინის გენერალური პროკურატურის მონაცემებით, ყველაზე მეტი - 417 ბავშვი დონეცკის ოლქში დაზარალდა. უწყების განმარტებით, ეს მაჩვენებლები არ არის საბოლოო, რადგან გრძელდება მუშაობა დროებით ოკუპირებული და გათავისუფლებული ტერიტორიების აქტიური საომარი მოქმედებების ადგილებზე.

* * *

„ომის შემსწავლელი ინსტიტუტის“ ანგარიშის მიხედვით, ბელარუსის ტერიტორიიდან ჩრდილოეთ უკრაინაზე რუსეთის თავდასხმის რისკი დაბალია. ინსტიტუტის ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ბელარუსიდან თავდასხმის სცენარი უახლოეს თვეებში ნაკლებად სავარაუდოა, რადგან რუსეთის არმიას არ აქვს შესაძლებლობა, უკრაინის ტერიტორიაზე კიდევ ერთი ახალი შეტევა წამოიწყოს. ISW-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ უკრაინისა და ბელარუსის საზღვრის მიმდებარე ტერიტორია და უკრაინის ჩრდილოეთი ნაწილი ჭაობებით არის დაფარული, რაც რუსების თავდასხმის რისკებს კიდევ უფრო ამცირებს.

* * *

რუსულმა ძალებმა ხარკოვზე სარაკეტო თავდასხმა განახორციელეს, ქალაქში რამდენიმე აფეთქება მოხდა, - ინფორმაციას უკრაინული მედია ქალაქის მერ იგორ ტერეხოვზე დაყრდნობით ავრცელებს. „ხარკოვში აფეთქებების სერიაა“, - აღნიშნა მერმა და ქალაქის მცხოვრებლებს სიფრთხილის გამოჩენისკენ მოუწოდა. ინფორმაცია ხარკოვის საოლქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ოლეგ სინეგუბოვმაც დაადასტურა და მოსახლეობას თავშესაფრებში ყოფნისკენ მოუწოდა.

* * *

თეთრი სახლი აცხადებს, რომ ირანელი სამხედროები ყირიმში ჩავიდნენ, რათა ხელი შეუწყონ რუსებისთვის დრონების უკრაინის სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე თავდასხმისთვის გამოყენებაში. ეროვნული უშიშროების საბჭოს სტრატეგიული კომუნიკაციების კოორდინატორ ჯონ კირბის მტკიცებით, ირანის სამხედრო პერსონალის ვიზიტი კონფლიქტში თეირანის უშუალო ჩართულობის მტკიცებულებაა. „ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ყირიმში ბაზირებული რუსი სამხედრო პერსონალი ირანულ უპილოტო საფრენ აპარატებს უკრაინის მასშტაბით, მათ შორის კიევის წინააღმდეგ თავდასხმებისთვის იყენებს. ირანის სამხედრო პერსონალი ყირიმში ადგილზე იმყოფებოდა და მათ ამ ოპერაციების განხორციელებაში ეხმარებოდა“, - აღნიშნა კირბიმ. შეერთებული შტატები აცხადებდა, რომ რუსეთი ირანიდან უპილოტო დრონებს იღებდა, მაგრამ მანამდე არ უთქვამს, რომ ირანელი სამხედროები ადგილზე იმყოფებოდნენ. „თეირანი ახლა უშუალოდ არის ჩართული ადგილზე იარაღის მიწოდებაში, რომელიც კლავს მშვიდობიან მოსახლეობას და ანადგურებს სამოქალაქო ინფრასტრუქტურას უკრაინაში. მათ შეუძლიათ მსოფლიო მოატყუონ, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ შეუძლიათ ფაქტების დამალვა“, - აღნიშნა კირბიმ. მისი თქმით, შეერთებული შტატები ახლა შეშფოთებულია იმის გამო, რომ რუსეთი ირანისგან მოიძიებს დამატებით იარაღს.

* * *

ევროპელებს ევროსაბჭოს სხდომაზე ვაცნობე მორიგი ტერაქტის შესახებ, რომელსაც რუსეთი კახოვკას ჰიდროელექტროსადგურზე ამზადებს. ჩვენი ინფორმაციით, კახოვკას ჰიდროელექტროსადგურის აგრეგატები და კაშხალი რუსმა ტერორისტებმა დანაღმეს, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა. მისი თქმით, მსოფლიოში ყველამ უნდა იმოქმედოს რუსული ტერორისტული თავდასხმის თავიდან ასაცილებლად. „თუ რუსმა ტერორისტებმა ააფეთქეს ეს კაშხალი, მაშინ 80-ზე მეტი დასახლება, მათ შორის ხერსონი, სწრაფი წყალდიდობის ზონაში აღმოჩნდება. შესაძლოა, ასობით ათასი ადამიანი დაზარალდეს, სამხრეთ უკრაინის მნიშვნელოვანი ნაწილის წყალმომარაგება განადგურდეს. ახლა მსოფლიოში ყველამ უნდა იმოქმედოს ძლიერად და სწრაფად ახალი რუსული ტერორისტული თავდასხმის თავიდან ასაცილებლად. კაშხლის განადგურება მასშტაბურ კატასტროფას ნიშნავს“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისი თქმით, კახოვკას ჰესზე ტერორისტული თავდასხმა მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების ტოლფასია.

* * *

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ ისრაელის პრემიერ-მინისტრ იაირ ლაპიდთან სატელეფონო საუბარში საჰაერო და სარაკეტო თავდაცვის სისტემებისა და ტექნოლოგიების მიწოდების შესახებ უკრაინის მოთხოვნა განიხილა. ამის შესახებ კულება „ტვიტერში“ წერს. „ვესაუბრე ისრაელის პრემიერ-მინისტრ იაირ ლაპიდს და ვაცნობე რუსული რაკეტებითა და ირანული წარმოების დრონებით გამოწვეული ენით აუწერელი ტანჯვის, ადამიანების დაღუპვისა და ნგრევის შესახებ. ჩვენ დეტალურად განვიხილეთ ისრაელის მიმართ უკრაინის მოთხოვნა საჰაერო და სარაკეტო თავდაცვის სისტემებისა და ტექნოლოგიების მოწოდების შესახებ“, - აცხადებს კულება. ცნობილია, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა იაირ ლაპიდმა მკაცრად დაგმო 10 ოქტომბერს უკრაინის ქალაქებზე რუსული ძალების მასობრივიდ სარაკეტო თავდასხმა.

**მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ**

# აკრძალული საღებავები... საწებელსა და წიწაკაში (!)



სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მან სურსათში „სუდანის“ ჯგუფის საღებავების გამოვლენის მიზნით აღებული ნიმუშები აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოიკვლია.

„ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, საწებლისა და წიწაკის 2 ნიმუშში „სუდანის“ ჯგუფის აკრძალული საღებავი გამოვლინდა:

**შპს „გემო“ - „ტომატის საწებელი ცხარე“** - აღმოჩნდა აკრძალული საღებავი Sudan I, დამზადების თარიღი: 31.08.2022 წელი, ჩამოსხმულია 0,5 ლ მინის ქილაში, მისამართი: ქ. რუსთავი, რჩეულიშვილის ქ. №9;

**წითელი წიწაკა** - აღმოჩნდა აკრძალული საღებავი Para Red, **ი/მ „შორენა კაპეტივაძე“,** მისამართი: თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. №135, დეზერტირების ბაზარი, მესამე სართული, დახლზე მოვაჭრე. ბიზნესოპერატორმა ვერ წარმოადგინა სურსათის ეტიკეტი და მიკვლევადობისთვის საჭირო დოკუმენტი.

გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით, სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. შპს „გემო“-ს და ი\მ „შორენა კაპეტივაძე“-ს აეკრძალათ ზემოაღნიშნული სურსათის რეალიზაცია და დაევალათ უმოკლეს ვადაში დასახელებული სურსათის ბაზრიდან გამოთხოვა, აღრიცხვა და მიღებული ზომების შესახებ სააგენტოს ინფორმირება. პროდუქცია უკვე გამოთხოვილია სარეალიზაციო ქსელიდან.

ბიზნესოპერატორები დაჯარიმდნენ. ამავდროულად სააგენტოს უფლებამოსილი პირები ახორციელებენ მოკვლევის პროცესს.

სურსათის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს მომხმარებელს, თუ შეძენილი აქვს აღნიშნული სურსათი, არ გამოიყენოს.

საქართველოს კანონმდებლობით, სურსათში საღებავების: Sudan I, Sudan II, Sudan III, Sudan IV, Sudan orange G, Sudan Red G, Sudan Red 7 B და Sudan red B გამოყენება აკრძალულია.

„სუდანის“ ჯგუფის საღებავები ბუნებრივად არ გვხვდება სურსათში, იგი მიეკუთვნება ხელოვნურ აზო-საღებავების ჯგუფს, არ წარმოადგენს ნებადართულ საკვებდანამატს. აღნიშნული საღებავები სურსათს ემატება ფერის მისაცემად, კერძოდ, იყენებენ წითელი დაფქვილი წიწაკის ფერის გასაძლიერებლად.

სააგენტო, მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში, აგრძელებს კვლევას მთელი ქვეყნის მასშტაბით. მიმდინარე წელს უკვე აღებული და გამოკვლეულია 60 ნიმუში.

2019 წელს სააგენტოს მიერ გამოკვლეული 10 ნიმუშიდან დარღვევა გამოვლინდა წითელი წიწაკის 9 ნიმუშში; 2020 წელს - 21 ნიმუშიდან აკრძალული საღებავები აღმოჩნდა 9 ნიმუშში; 2021 წელს გამოკვლეული 33 ნიმუშიდან დარღვევა არ გამოვლენილა.

კვლევის შედეგების და რისკის დონის გათვალისწინებით, 2019 წლიდან მოქმედებს სპეციალური მოთხოვნები წითელი წიწაკის იმპორტისას. ასევე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სურსათის ეროვნულ სააგენტოს აქტიური კომუნიკაცია აქვს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

**ამირან ბურიელიძე**

## ხსოვნა

# ნოშრევან დავითაძე



«საპატიო შუახეველების» ქართული სპორტის ვეტერანთა რიგებს გამოაკლდა საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, აჭარაში ქართული ჭიდაობის ამაგდარი ნოშრევან ვლადიმერის ძე დავითაძე.

დაიბადა 1951 წელს შუახევის რაიონის სოფელ სხეფელაში. მისი მოსწავლეობისა და სტუდენტობის პერიოდი სპორტთან იყო დაკავშირებული, რაც გახდა წინაპირობა, რომ მთელი ცხოვრება ეროვნული სპორტისთვის მიეძღვნა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მშობლიურ შუახევს დაუბრუნდა. ენერგიული, საქმისმცოდნე, პროფესიონალი პედაგოგი მალე შუახევის სპორტული კომიტეტის თავმჯდომარედ, შემდეგ სასპორტო სკოლის დირექტორად დააწინაურეს.

ოთხი ათეული წლის განმავლობაში მის სახელსა და საქმიანობას მრავალი სპორტული ღონისძიება, რაიონული სპარტაკიადები, ოლიმპიადები, უნივერსიადები უკავშირდებოდა. დიდი იყო მისი წვლილი აჭარის მთიანეთში ქართული ჭიდაობის სექციების აღდგენაში. ქართული ჭიდაობის ქომაგებმა ამაგი სიცოცხლეშივე დაუფასეს - წლების განმავლობაში შუახევი მისი სახელობის ტურნირს მასპინძლობდა. გამორჩეული იყო დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი.

ბატონი ნოშრევანი პენსიაში გასვლის შემდეგაც აგრძელებდა სპორტთან ურთიერთობებს. მისი ღვაწლი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. საპატიო წოდებებთან ერთად, დაჯილდოებული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით, სამთავრობო ჯილდოებით.

საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას კარგი ოჯახის წინამძღოლობას უთავსებდა. ქვეყანას ღირსეული შვილები, შვილიშვილები დაუტოვა. წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომლის სახელი და საქმე დიდხანს იცოცხლებს. უფალმა ნათელი დაუმკვიდროს!

**აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაცია;**

**შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები**

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 21/10/22, 21 50 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# „ბუტიაობა“ - 86-ე თეატრალური სეზონის მესამე პრემიერა

გუშინ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიულ თეატრში, სეზონის გახსნიდან საკმაოდ მცირე ხანში (პირველი პრემიერა 10 სექტემბერს გაიმართა), მესამე პრემიერა იხილა მაყურებელმა. როგორც წინა სპექტაკლი („საიდანაც მზე მოდიოდა“ - 12+), „ბუტიაობაც“ (აკაკი წერეთლის ვოდევილის მიხედვით) მოზარდ მაყურებელზეა გათვლილი, რაც თეატრის ხელმძღვანელობის (სამხატვრო ხელმძღვანელი - ირაკლი კიკვაძე) სურვილზე მიუთითებს - მოიზიდოს მოზარდი მაყურებელი და თეატრის ორმაგი დატვირთვა (თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა) გაამართლოს.

ვფიქრობთ, მოზარდებისთვის უთუოდ საინტერესო იქნება ვოდევილის ჟანრის სპექტაკლი, სადაც არა დიდაქტიკით, არამედ იუმორით აჩვენებენ, რომ სანამ საქმის არსში კარგად არ გაერკვევი, დასკვნები არ უნდა გააკეთო.

სპექტაკლის რეჟისორი პეტრე ჩარგეიშვილი აჭარის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს: „დღეს დასტრესილია საზოგადოება, ოჯახები, მთელი მსოფლიო, ამიტომ ირაკლი კიკვაძემ გადაწყვიტა სათქმელის იუმორით მიწოდება ბავშვებისთვისაც და ზრდასრულებისთვისაც. მომწონს, რომ იგი თეატრს მოზარდებისკენ აბრუნებს, ამიტომ სიამოვნებით დავთანხმდი მის წინადადებას, დამედგა ეს სპექტაკლი. მოზარდს არ უყვარს დიდაქტიკით საუბარი, მითითება და თუ ჩვენ მათ იუმორით დავანახებთ, რომ არ ღირს ბუტიაობა, არ ღირს იმოქმედო, სანამ სიტუაციას არ გაარკვევ, ეს ძალიან დიდი საქმე იქნება. ვოდევილის ჟანრი გვაძლევს საშუალებას, რომ არაერთი გზავნილი მივიდეს მოზარდის გულამდე“.

სპექტაკლში, რომელიც ამ თეატრის ისტორიაში ვოდევილის დადგმის პირველი ფაქტია, მონაწილეობენ მსახიობები ირმა მგელაძე, მანანა გოგიტიძე, სალომე დოლიძე, მინდია ჩოხარაძე, თედო ტუღუში, გიორგი არველაძე, ანრი ჩაგუნავა, მხატვრულად გააფორმეს გიორგი გოგიტიძემ (სცენოგრაფია), მარინა ფრანგიშვილმა (კოსტიუმები), მერი დარცმელიძემ და მინდია გურგენაძემ (თოჯინები), ქორეოგრაფი ნინო კვიტაიშვილი გახლავთ, მუსიკალური გაფორმება კი თავად რეჟისორს ეკუთვნის.

მაყურებელმა სპექტაკლი გულთბილად მიიღო. უფრო ვრცლად საპრემიერო ჩვენების შესახებ მომდევნო ნომერში ვისაუბრებთ.

**მარი მიდასელი**



# მინისტრი მწერალ და პოეტ ქალბატონებს შეხვდა

**ნანა აბულაძე 577 20 35 90**

აჭარის მწერალთა სახლს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი ესტუმრა, სადაც მწერალ და პოეტ ქალებს შეხვდა, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მათი მოტორიასა და შემდგომში მხარდაჭერის ახალ გზებზე, - თქვა მაია ხაჯიშვილმა ჩვენთან საუბარში, პოეტმა ნანა შაინიძემ კი გვითხრა:

- ჩვენთვის ხელმისაწვდომია კულტურის სამინისტროს თითოეული პროგრამა, თუმცა მინისტრმა



საზრებები მოისმინა და მომავალშიც დახმარება აღუთქვა:

- ჩვენ ძალიან აქტიური თანამშრომლობა გვაქვს რეგიონში მოღვაწე ყველა ხელოვანთან, განსაკუთრებით გვინდა, რომ ეს თანამშრომლობა იყოს უფრო ღია, უფრო გახსნილი. აქედან გამომდინარე, უშუალოდ, ამ ფორმატში ვხვდებით სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს, დღეს შევხვდით პოეტებს და მწერლებს, ქალბატონებს რომლებიც დაინტერესებული არიან იმ პროექტებით, რომლებსაც სამინისტრო ახორციელებს სხვადასხვა სფეროს მხარდაჭერის მიზნით. ვისაუბრეთ მათ წინაშე არსებულ გამოწვევებზე, იმ სიახლეებზე, რომლებსაც სამინისტრო სამომავლოდ შესთავაზებს პოეტებს და მწერლებს მხარდაჭერის მიზნით. ძალიან ღია, თბილი შეხვედრა გაიმართა, რაც შემდგომში კიდევ უფრო მეტი პროექტის ერთობლივად განხორციელების შესაძლებლობას მოგვცემს. შეხვედრაზე ასევე ვისაუბრეთ ჟურნალ „ჭოროხის“ პოპულარიზაციაზე მაღალმთიან აჭარაში, ზოგადად, სკოლებში, ახალგაზრდებში, მის მნიშვნელობაზე, ისდღეს კიდევ უფრო დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდა თითოეულზე. მაგალითად, მე მაქვს პროექტი, რომლითაც ძალიან ვამაყობ და ამაში უზარმაზარი წვლილი მიუძღვის კულტურის სამინისტროს და მათი მხარდაჭერის გარეშე არაფერი იქნებოდა. მიმაჩნია, რომ ეს იყო ფრიად საინტერესო და აუცილებელი შეხვედრა, სალონურ შეხვედრას დავარქმევდი, სადაც უფრო მეტად გახსნილები ვიყავით, ვისაუბრეთ ყველა საჭირბოროტო საკითხზე, რომლებზეც აქამდეც არაერთხელ გვისაუბრია. იმის გათვალისწინებით, რაზეც ვესაუბრეთ მინისტრს, დაიგეგმება სამომავლო ღონისძიებები. დღევანდელი დღე იყო იმის საწინდარი, რომ ანალოგიური შეხვედრები გაგრძელდება და ბევრმა ხელოვანმა შეძლოს შიგნით შენახული სათქმელის მინისტრამდე მიტანა. აქვე მინდა აუცილებლად აღვნიშნო, ქალბატონი მაია არის არა მარტო მინისტრი, უპირველესად, ქალი და დედა, რომელსაც შეუძლია ყველაფრის მოსმენა, გულთან მიტანა და, შესაბამისად, მხარდაჭერაც.

## ლეგენდა - მოახლოებულ მატჩზე...

„ნაპოლის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ჯუზეპე ბრუსკოლოტიმ „რომა“-„ნაპოლის“ მოახლოებულ შეხვედრაზე ისაუბრა:„ეს იქნება განსაკუთრებული შეხვედრა ორ დიდ მწვრთნელს შორის. მოურინიო კარგად ახერხებს გუნდში კარგი სიტუაციის შექმნასა და დაძაბულობის განმუხტვას. იმედი ვიქონიოთ, რომ ის კარის წინ კვლავ ავტობუსს არ ჩააყენებს. „ნაპოლი“ მოიპოვებს სკუდეტოს? შედეგები ყველაფერზე მეტყველებს. გუნდი უკვე ძალიან მაღალ დონეზეა და ატმოსფერო იდეალურია. კვარაცხელია? ძალიან მაგარი საფეხბურთო მანერები აქვს... დღეს მცველებს მისი სტილის ფეხბურთელებთან თამაში ძალიან უჭირთ, რომლებიც 1-1-ზე მიდიან. დღეს თანამედროვე ფეხბურთში სწორედ ეს ფასობს“, - თქვა ბრუსკოლოტიმ.

„რომა“-„ნაპოლის“ შეხვედრა ხვალ - 22:45 საათზე დაიწყება.

**ამირან ბურიძელიძე**



# საქართველოს ხელბურთის 18-წლამდელთა ნაკრები IHF TROPHY-ს ჩემპიონია

**ნინო დავითაშვილი 598 24 94 97**

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასის გათამაშება ტარდება კონტინენტებს შორის. საქართველოს 2004-2005 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა ნაკრები ევროპის ზონაში ალბანეთთან, ბულგარეთთან, დიდ ბრიტანეთსა და კოსოვოსთან ერთად საუკეთესო გუნდის ტიტულისთვის იბრძოდა. სწორედ კოსოვოში ჩატარდა IHF Trophy ტურნირი, სადაც ევროპის ზონაში საქართველომ პირველი ადგილი დაისაკუთრა. ჩვენმა გუნდმა გადამწყვეტი, ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში მასპინძლების - კოსოვოელი თანატოლების დამარცხება შეძლო ანგარიშით - 27:22, ჯგუფში ოთხიდან ოთხივე თამაში მოიგო, პირველ ადგილზე გავიდა და, ჩემპიონობასთან ერთად, მომდევნო ეტაპის საგზურიც მოიპოვა.



როგორც აჭარის ხელბურთის რეგიონალური ფედერაციის პრეზიდენტმა ზურაბ ურუშაძემ გვითხრა, საგზური მათ საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ ინტერკონტინენტალური თასის გათამაშებაში - პლეიოფში, სადაც ერთმანეთს ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტის გამარჯვებული გუნდები შეხვდებიან.

ევროპის თასის გათამაშების შემდეგ, რომელიც საქართველოს ნაკრებმა მოიგო, ასეთივე გათამაშება ჩატარდება ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, ავსტრალიაში, აზიაში. ყველა ეს თამაში წლის ბოლომდე გაიმართება და პლეიოფში მონაწილე ექვსი გუნდიდან (პლეიოფი მომავალი წლის მარტში გაიმართება) ყველაზე წარმატებული მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს. აი, ამიტომ არის ჩვენი ბიჭების წარმატება ასეთი სასიხარულო.

საამაყოა, რომ ეროვნულ ნაკრებში აჭარის ნაკრების ხუთი სპორტსმენი თამაშობს, რომელთა შორის არიან: ანრი აბულაძე, თემურ ქამადაძე, გივი ზაქარაძე, ნუგზარ ტარიელაძე, ნიკოლოზ შერვაშიძე. საერთოდ, აჭარაში ხელბურთი სპორტის პოპულარული სახეობაა. ჩვენი ვაჟები ზედიზედ ხუთი წელი არ თმობდნენ უმაღლეს ლიგაში საქართველოს ჩემპიონობას. მხოლოდ გასულ სეზონში გავიდნენ მეორე ადგილზე, თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ წელს სეზონი გამარჯვებებით დაიწყეს და დიდი იმედი გვაქვს, ჩვენი ვაჟები ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს ისევ დაეუფლებიან (აჭარის ვაჟთა ნაკრების მწვრთნელებია ირაკლი სიხარულიძე და დავით ნიკოლაიშვილი, ქალთა ნაკრების - ეთერ შალამბერიძე). სხვათა შორის, დავით ნიკოლაიშვილი სტუდენტური მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ადგილის მფლობელია.

წარმატება ვუსურვოთ ხელბურთელებს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ტურნირებში.

# „ბათუმის თასი“ - ვეტერანთა ტურნირი

**ნინო დავითაშვილი 598 24 94 97**

აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებითა (პრეზიდენტი - სალომე მელია) და აჭარის სპორტის დეპარტამენტის (ხელმძღვანელი - ლაშა ჩავლეიშვილი) ფინანსური მხარდაჭერით, ბათუმის მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლეში ვეტერანთა შორის სწრაფ ჭადრაკში „ბათუმის თასი“ გათამაშდა მამაკაცებსა და ქალბატონებს შორის.

ვაჟთა შორის ტურნირი წრიული სისტემით, ცხრა ტურად, ხოლო ქალთა შორის - ხუთ ტურად ჩატარდა. ვაჟთა შორის პირველ ადგილზე გავიდა ნოდარ ძნელაძე, მეორეზე - შოთა ბასკურიძე, მესამეზე - გურამ კუპრაძე, ქალთა შორის კი საუკეთესო შედეგი ჰქონდა მარინა აროშიძეს, მეორე ადგილი დაისაკუთრა სვეტლანა უტიანსკაიამ, მესამე - თალიკო გაბეჩავამ.

საპრიზო ადგილებზე გასულ ვეტერანებს გადაეცათ მედალი, სიგელი და ფასიანი საჩუქრები, ჩემპიონებს ასევე - თასები, ხოლო ტურნირის ყველა მონაწილეს - სამახსოვრო საჩუქარი.

- ჩვენ - ვეტერანებს ძალიან გვიყვარს სხვადასხვა შეჯიბრებაში მონაწილეობა. გაგვიხარდა, ასეთ ტურნირზე რომ მიგვიწვიეს, რადგან ჭადრაკს დიდი ხანია სამოყვარულო დონეზე ვთამაშობ. დიდი მადლობა სალომე მელიას, რომელიც ჩვენდამი ყოველთვის ყურადღებასა და პატივისცემას გამოხატავს. ვეტერანებს საწვიმრები დაგვირიგეს საჩუქრად, გუშინ წვიმდა და ყველამ იმ დღესვე გამოვიყენეთ, - გვითხრა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა თალიკო გაბეჩავამ.

